საერთო გაზეთი

№33/10 (394) • 9 სექტემბერი, 2016 წ. • პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო დამატება

ბიძინა ივანიშვილი: „ძალიან ოცნებობენ, მაგრამ რასაც ეძახიან წასვლას, ისეთი წასვლა არ შედგება. პოლიტიკიდან მე წავედი და წავედი გახსნილად, გამოვაცხადე და დღესაც შემიძლია გავიმეორო, თუ რამე კითხვები დარჩა.

მე ვარ მოქალაქე, ჩვენი ქვეყნის მოქალაქე და არ ვაპირებ ქვეყნიდან წასვლას – ამასთან აიგივებენ ჩემს წასვლას. ამის დიდი სურვილი აქვთ ოპონენტებს, რომ, ეგებ, როგორმე წავიდე ქვეყნიდან და დავაცადო, ის ძველი ტაშ-ფანდური როგორმე დააბრუნონ და ამასაც ძალიან ხშირად აღვივებენ.

პოლიტიკიდან მე წავედი და ჩემი აზრით, წავედი ძალიან ღირსეულად, მიუხედავად იმ კითხვებისა, რომლებსაც ბევრი პოლიტიკოსი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ სვამს და ისე ღირსეულად წავედი, რომ, შეიძლება, მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში ვერ ნახოთ. მე ვაჩვენე, რომ არ მქონდა პოლიტიკაში ყოფნის სურვილი, მაგრამ დასჭირდა ჩემს ქვეყანას და მოვედი, თავი გადავდე, გავწირე, გავუშვი ის მოძალადე ხელისუფლება და წავედი პოლიტიკიდან.“

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები რეგიონულ მედიასთან (სამეგრელო)

კანონის მიხედვით, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებიდან უნდა მოიხსნას!

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ბატონო ხელისუფალნო,

აღასრულეთ კანონი და აღკვეთეთ „ნაცმოძრაობის“ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები!

გია კუჭავა: „პროდასავლელი“ სააკაშვილი სინამდვილეში პუტინის საიდუმლო მოკავშირეა?

თუ გადავხედავთ სააკაშვილის მოქმედებებს 2003 წლიდან მოყოლებული 2012 წლამდე, ნათლად დავინახავთ, რომ მან გააკეთა წმინდა რუსული საქმე

კაცობრიობა სულიერ დეგენერატთა საზოგადოებად ყალიბდება?

სოსო ცინცაძე: რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ წამყვანი მოთამაშე? იმიტომ რომ გუბაზ სანიკიძეს და სხვებს რაღაცები ესიზმრებათ?

ზურაბ ჩიქოვანი: მოგზაურობა თბილისში

„პროდასავლელი“ სააკაშვილი სინამდვილეში პუტინის საიდუმლო მოკავშირეა?

თუ გადავხედავთ სააკაშვილის მოქმედებებს 2003 წლიდან მოყოლებული 2012 წლამდე, ნათლად დავინახავთ, რომ მან გააკეთა წმინდა რუსული საქმე

გვესაუბრება **Caucasian & Azian Citizens** ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში **გია კუჭავა**

— ახლახან „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი და გამსვლელი სიის მთავარი წევრი ელენე ხოშტარია იმყოფებოდა ვაკეში ამომრჩეველთან შეხვედრაზე.

ძალიან ამაზრზენად იქცევიან. ხმის მიცემა არც კი დაწყებულა და ესენი უკვე გამარჯვებას ზეიმობენ. ეს არის ელემენტარული სისულელე და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული საუბრები და არის საკუთარი თავის გამხნევება და წაქეზება, როცა თითქმის დარწმუნებული ხარ, რომ წააგებ.

ამავე დროს, ეს გახლავთ ელემენტარული პოლიტტექნოლოგიის ნაწილი, რომ მერე საბაბი ჰქონდეთ, ჩვენ კი გავიმარჯვეთ, მაგრამ მთავრობამ ხმები წაგვართვაო. ასე მოქმედებენ ესენი 2003 წლის არჩევნებიდან მოყოლებული.

მახსოვს, „სამართლიანი არჩევნების“, იყო ასეთი ორგანიზაცია, ხელმძღვანელი გახლდათ ზურაბ ჭიაბერაშვილი, მისი მეთაურობით, ნაციონალები ხალხს აქეზებდნენ და იმისთვის ამზადებდნენ, რომ ხელისუფლება გააყალბებდა არჩევნებს.

ეს ტექნოლოგია ჯერ კიდევ დიდი ფრანგული რევოლუციის დროს იქნა გამოყენებული. კანონმორჩილი ფრანგი ხალხი ფარულად შეაიარაღეს ლუდოვიკოს მოწინააღმდეგეებმა იმ ფარსით, თითქოს შეტევას აპირებდნენ მეფის მტრები და საკადრისი პასუხი უნდა გავცეთო. როცა გამოჩნდა სამეფო გვარდია, დახვდა შეიარაღებული ხალხი, რომლებმაც მეფის პირადი გვარდია ამოხოცა.

საქმე ისაა, რომ პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები არ შეცვლილა თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ტექნოლოგიები განვითარდა. ახლა მიმდინარეობს ვითომდა პროროუსული და პროდასავლური პოლიტიკური ორიენტაციების პოლიტიკური ძალების ჭიდილი.

მე ვერავინ დამაბრალებს პროროუსულობას, ეს არაერთხელ მაქვს გაცხადებული, მაგრამ ზოგიერთები რომ პროდასავლურობას იბრალებენ და რეალობაში რუსულ საქმეს აკეთებენ, ეს ცალკე საუბრის თემაა.

ამას წინათ თქვენ გამოაქვეყნეთ ინტერვიუ, სადაც აღნიშნავდით, რომ მოსალოდნელია 8 ოქტომბრისთვის იარაღი შემოვიდეს აფხაზეთიდანო.

მოდით, რეალურად ვილაპარაკოთ: აფხაზეთიდან ჩიტიც ვერ შემოფრინდება რუსი მესაზღვრეების თანხმობის გარეშე.

მე ზუსტი ინფორმაცია, ცხადია, არ მაქვს, მაგრამ, მოდით, ასე ვთქვათ, თუკი ხდება ასეთი რამ, ვინ ამარაგებს იარაღით ნაციონალებს? რუსი ლიბერალები? ეს ხომ გამორიცხულია?! მაგრამ თუ ასეა, რის სანაცვლოდ? რა გაყიდეს ნაციონალებმა?

თუ გადავხედავთ სააკაშვილის მოქმედებებს 2003 წლიდან მოყოლებული 2012 წლამდე, ნათლად დავინახავთ, რომ მან გააკეთა წმინდა რუსული საქმე.

2000 თუ 2001 წელს რუსეთიდან დაურეკეს შევარდნაძეს და უთხრეს: ჩეჩნეთში კონტროლის დამყარება ძნელდება, პარტიზანები ხელსაყრელ პოზიციებზე იმყოფებიანო და შევარდნაძეს სთხოვეს დერეფანი ზურგიდან. მეც ვესწრებოდი ამ სატელეფონო საუბარს. შევარდნაძემ უპასუხა: მივცემ გასასვლელს ერთი პირობით, თუ აფხაზეთსა და სამურზაყანოში კონტროლის დამყარებაში დამეხმარებითო.

შეთანხმება ვერ შედგა.

2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილმა განაცხადა — ზუსტად ვციტირებ: „თუ პუტინმა ჩეჩნეთში კონტროლი დაამყარა, ამას მე უნდა მიმადლოდესო“.

სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ მოდიოდა თავის „რეფორმატორებთან“ ერთად, მან აღუთქვა პუტინს, რომ დაეხმარებოდა ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარებაში და მერე ეს 2008 წელს წამოსცდა კიდევაც. მას ბევრჯერ წამოსცდენია ხოლმე ისეთი რამეები, რაც არ უნდა ეთქვა. ეშხში რომ შედიოდა, ყრანტალებდა ყვავივით.

2003 წელს სააკაშვილმა დერეფანი მისცა ფედერალურ ჯარებს. მაშინ ყიდდა ენგრუჰესს, ოპოზიციას ვეღარ გაუმკლავდა. ეს მან მოახერხა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, სააკაშვილმა, ფაქტობრივად, დაუკანონა რუსეთს აფხაზეთი და სამაჩაბლო.

— რას ამბობთ ახლა: სააკაშვილს საქართველო რუსეთისთვის გადასაცემად უნდოდა?

— რუსეთს რაც სურდა, 2008 წელს ის უკვე აიღო, ანუ სამაჩაბლო და აფხაზეთი. ამას გარდა არის კიდევ ძირითადი ეკონომიკური ობიექტები, მაგალითად, ფოთის ნავსადგური, რომელიც გადასცეს რუსეთს. „როსნეფტის“ ხელშია დიდძალი ობიექტები.

ვინაა იაკობაშვილი, კარგად გავიხსენოთ. სხვები რომ აღარ ჩამოვთვალოთ, **ყველაზე სტრატეგიული ობიექტები სააკაშვილმა რუსებს გადასცა.**

ჩუბაისი წერს თავის „ლიბერალურ იმპერიაში“: რა საჭიროა იარაღით დაპყრობა, რაშიც ფულს ვიხდით, ის უკვე ჩვენ არისო.

ილია ჭავჭავაძემ რატომ დაარსა საადგილმამულო ბანკი?! იმიტომ რომ, ქართული მიწა წყალი სხვის ხელში არ გადასულიყო.

ილიას სიტყვებია: ბატონებო, დღეს მოდის უფრო საშიში და სახიფათო ძალა, მოდის არა იარაღით, არამედ ფულით და ამგვარი დამპყრობლის გაგდება უფრო რთული იქნება, ვიდრე ხმლით მოსულისო.

ნახეთ, რა გააკეთა სააკაშვილმა — რაც გასაყიდი იყო, ყველაფერი გაყიდა რუსებზე და ოფშორებში გადაიტანა ეს თანხები.

— თქვენს მსჯელობაზე დაყრდნობით, „ნაცმოძრაობა“ რუსეთს „მოუყვანია“ ხელისუფლებაში.

— რასაკვირველია. სააკაშვილმა მთელი თავისი მოღვაწეობით მოახერხა ის, რომ სრული დისკრედიტაცია მოხდა ქვეყანაში დასავლური ძალების. თუმცა მას განათლება მიღებული ჰქონდა ასევე სტრასბურგსა და აშშ-ის უმაღლეს სასწავლებლებში. ამერიკელებს რამდენადმე მიამიტურად სჯეროდათ — რაკი სააკაშვილმა ამერიკასა და ევროპაში მიიღო განათლება, ის პროდასავლური იქნებაო. თუმცა ევროპაში განათლებამიღებულმა მიშამ გვერდით დაიყენა კომკავშირელი აქტივისტები — საბჭოთა კგბსთან დაახლოებული ხალხი, იგივე გია ბარამიძე და სხვები.

მარტივად რომ ვთქვათ, სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებაში მოყვანით რუსებმა ამერიკელებს „მაგრად აჭამეს“.

გაიხსენეთ: 2003 წელს საქართველოში პრორუსულად განწყობილი მოსახლეობა, ფაქტობრივად, არც არსებობდა, თუ იყო, ისიც 0,001 %.

2012 წელს უკვე 60%-ზე მეტი პრორუსი გაჩნდა საქართველოში. ამ ტენდენციას ხედავდნენ დასავლელი და ამერიკელი პოლიტიკოსები და მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სააკაშვილთან, რამენაირად ტვინი რომ შეეტრიალებინათ მისთვის.

ნახეთ, დღეს რამდენი პრორუსული ძალაა ქართულ პოლიტიკაში. ეს ყველაფერი სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ „დამსახურებაა“.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

კანონის მიხედვით, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებიდან უნდა მოიხსნას!

ბატონო ხელისუფალნო, აღასრულეთ კანონი და აღკვეთეთ „ნაცმოძრაობის“ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები!

„ვაღიარებ სააკაშვილის უნიკალურობას! ამდენი სხვა და სხვა კალიბრის, აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი გარეწარი, ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული შავი მასა: მკვლელი და მოკლული; პირადად მის მიერ ნამუსახდილი და ნახმარი ადამიანები, ოჯახები ერთი დროშის ქვეშ დააყენო, მართლა კლასია!“

„ქართული ოცნების“ წევრმა თამარ ჩუგოშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ აქამდე წინასაარჩევნო კამპანია მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, განსაკუთრებული ინციდენტებისა და დარღვევების გარეშე, მაგრამ ვინაიდან საარჩევნო კამპანია უკვე აქტიურ ფაზაში შევიდა, „ნაცმოძრაობამ“ კი დანამდვილებით იცის, რომ არჩევნების მოგების არანაირი შანსი არ აქვს, ერთადერთ შანსად გარკვეული ტიპის არეულობების შექმნას გეგმავსო.

იგივე შინაარსის იყო ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის გია ვოლსკის სიტყვებიც: — „საქართველოში არაფერი იმალება. საკმაოდ ინტენსიური საუბრები მიდის, თუ როგორ შეიჭრნენ ღონისძიებებზე, შეხვედრებზე; როგორ მოახდინონ პროვოკაცია. პირადად მე მქონდა ასეთი საფრთხე, თუმცა, ამის პრევენცია მოხდა, ძალიან ბევრი ხალხი იყო შეხვედრაზე და ეს ვერ განხორციელდა.“

„ახლაღა აქვთ ბოლო გაბრძოლება და თვლიან მხოლოდ რევოლუციაზე, რამეთუ კარგად იციან, რომ არჩევნების გზით მათ არ მოუშვებთ საზოგადოება, შესაბამისად, ესეც უნდა გავაცნობიეროთ. სახიფათონი ისინი კი არ არიან, მაშინდელი დაჩაგრული საზოგადოება, ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან სახიფათონი, რამეთუ ეს წლები, ოთხი წლის განმავლობაში, სულ ძალაზე იყვნენ მომართული. საკმაოდ დიდია ხიფათი, არჩევნების პროცესის აყირავება — ერთადერთი ეს გეგმაა რაც მათ აქვთ!“ — პირდაპირი ეთერით განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა მედიასთან შეხვედრისას ოზურგეთში.

„უეჭველი ინფორმაციით — „ნაცებს“ ძალიან აეწვათ უკანალი ფილმ „ჰეროკრატიის“ გაშვებით და დაიწყეს თავიანთი ზონდერების შემოყვანა უკრაინიდან და თურქეთიდან. „ოცნება“, გაფრთხილებთ! — თუ მე ან ჩემს რომელიმე თანამებრძოლს ერთი თმა ჩამოუვარდება თავიდან, ვიწყებთ თქვენი ერთობისთვის პასუხის გაცემას! — განაცხადა „გაერთიანებული ქართული მისიის“ წევრმა, პოლიტრეპრესირებულმა რამაზ გაგნიძემ.

„ეს ქალბატონი, ვითომ სათნო ადამიანი, ვითომ ქველმოქმედებითა და ჰუმანიტარული ღონისძიებებით დაკავებული, იმიტომ გამოაგზავნეს, რომ საფრთხის განცდა არ ჰქონდეს მოსახლეობას. სანდრა არის მეკავშირე და მოთვალთვალე, რომ გადასცეს სააკაშვილს რა სიტუაციაა სამეგრელოში. ასეთივე როლს ასრულებს აჭარაში ვარშალომიძე — მან უნდა მოახდინოს აჭარაში „ნაცმოძრაობის“ მომხრეების მობილიზება“ — განაცხადა მოძრაობა „ივერიელიების“ ხელმძღვანელმა ლევან კოჭლოშვილმა.

„ნაცმოძრაობის“ წევრებს რომ ჰკითხო, ხელებს გაასავსავებენ, როგორ გეკადრებათ, ბატონო, ამას გულშიც კი არ გავივლებთ, არათუ მოვიმოქმედოთო და მსწრაფლ მოადევნებენ, არეულობის მოწყობის გეგმის არსებობას რომ გვაბრალებთ, მტკიცებულება რა გაქვთო?

მტკიცებულებად, ნეტავ, კიდევ რა უნდათ ან მათ, ან იმ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, რომლებსაც სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების დაცვა ავალიათ, თვალში არ უჩანთ თუ ყურები აქვთ საცობით დაგმანული?

„ნაციონალური მოძრაობის“ პირადი ტელევიზიის, „რუსთავი-2-ის“ მეშვეობით, თითქმის ყოველი კვირისთავზე გამოდის სხვა ქვეყნის, კონკრეტულად, უკრაინის მოქალაქე, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოფიციალურად ძებნილი (მაგრამ „რატომღაც“, ვითომ არ ვიცით) პირი, მიხეილ სააკაშვილი, ქალაქ ოდესის გუბერნატორად დატყეპებულ-დაჭედებული და „პოპკა დურაკივით“ ერთსა და იმავეს გაიძახის: „ვბრუნდები საქართველოში!“ „მალე ჩამოვალ!“ „ოქტომბერში საქართველოში ვიქნები!“ — რა თქმა უნდა, ამ სიტყვების უკან „რაღაც“ ძალა (ვითომ რომ არ ვიცით, ის ძალა) დგას, თორემ ბაჭიაზე მფრთხალი მიხეილ სააკაშვილი სიტყვა „საქართველოს“ შიშითაც ვერ წარმოთქვამდა.

თავის მხრივ, საქართველოში მისი ჩამოსვლის მომლოდინეები აკითხავენ ძებნილ პირს ოდესის აპარტამენტებში და „რაღაც“ მნიშვნელოვანზე ჯგუფურად საუბრობენ. („საერთო გაზეთი“ დაწვრილებით წერდა ამის შესახებ და საქართველოდან ჩასული „მამალი ნაცების“ 65-კაციანი სიაც გამოაქვეყნა.)

ოდესაში თავიანთ მანიაკ შეფთან ბოდიალი არც მის ტელე-კლოუნებს ეზარებათ, არც ტელე-უმგვანოებსა თუ „ერთ-ჯერადი გამოყენების ნაშობას“. მოკლედ რომ ვთქვათ, არავის, ვისაც მასავით დაუოკებელი სადო-მაზოხისტური და სექსუალურ-პოლიტიკური ხიცინი აქვს ატეხილი სხეულის სხვა და სხვა ადგილას.

„ჩემს ვენახში ძაან მინდა დაბრუნება. მე იმედი მაქვს, რომ სპეციალურად დამელოდებიან რთველზე, მანამდე არ მოკრეფენ. არა უშავს, თუ ცოტათი ადრე მოხდა რთველი, დამელოდებიან, მანამდე არ მოკრეფენ. ასე რომ, წელს კახეთში რთველს ჩავატარებ და დავწურავ ყურძენს“, — ჩაუბოყინთლიფინა საკუთარი პარტიის ნარძლევს თავისნაირივე თლიფინ-ყროყინა ქალისებრს, რომელიც ისე შეჰხაროდა ოდესაში ჩარჩენილ „მესიას“, სახეზე ეწერა „ერთხელ მაინც მიკბინე სადმეო“...

გაძნელდება არ დაეთანხმო მალხაზ თოფურიას: — „ვაღიარებ სააკაშვილის უნიკალურობას! ამდენი სხვა და სხვა კალიბრის, აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი გარეწარი; ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული შავი მასა; მკვლელი და მოკლული; პირადად მის მიერ ნამუსახდილი და ნახმარი ადამიანები, ოჯახები ერთი დროშის ქვეშ დააყენო, მართლა კლასია! ერთი სიკეთეც ახლავს ამ უბედურებას, ყოველგვარი „კგბ-ის“ არქივების გახსნის გარეშე ყველას ლუსტრირება მოახდინა!“

2014 წლის სექტემბერი გაახსენდება კაცს. თითქოს მაშინ ერთგვარად სხვა სურათი იყო, მაგრამ დიდად არაფერი შეცვლილა, მხოლოდ უფრო ზედმიწევნით გამოიკვეთა ბევრი ვინმე და ბევრი რამ.

მაშინ საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ „ნაცებისა“ და „რესპუბლიკელების“ ბრძოლა მიმდინარეობდა სხვა პოლიტიკური პარტიებისა და ხალხის წინააღმდეგ; რომ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და „რესპუბლიკელებს“ შორის ცალკე ჩურჩული იყო გამართული; რომ მარგველაშვილი, როგორც ყოვლად ურეიტინგო პრეზიდენტი შეეკრა „ნაციონალებს“. სხვათაშორის, მაშინ სააკაშვილი სარფშიც კი ჩამოვიდა...

ზუსტად ორი წლის წინაც ყბადაღებულ თემად იქცა ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესება და „ბნელი 90-იანების“ ხსენება ყველა ე.წ ტელევიზიაში, არადა, მართლაც თვალშისაცემი იყო ადამიანების მკვლელობა ყოველდღიურად — სწორედ ისე, როგორც გასულ კვირას წაეწყო.

„სანამ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დამნაშავე ორგანიზაცია — არ გასამართლდება, მანამ ყველაფერია მათგან მოსალოდნელი“ — თქვა გია ბურჯანაძემ, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ნააზრევი არ არის, ასე ფიქრობს სრულიად საქართველოს მოსახლეობის ის დიდი უმრავლესობა, რომელიც საზელმწიფო-საქართველოს წარმოადგენს.

„რაც უნდა ჩაედინა, სააკაშვილის დაპატიმრება არ შეიძლება, მისთვის ბრალის წაყენება ყოვლად დაუშვებელია ისევე, როგორც სხვა მაღალჩინოსნების მიმართ!

მოგიწოდებთ გონიერებისა და სიფრთხილისკენ, რადგან თითოეული გადადგმული ნაბიჯი ბუმერანგის პრინციპით მოუბრუნდება თითოეულ ქართველს! — ჯონ მაკკეინი.

„ბუმერანგივით, თითოეულ ქართველსო!“ — გესმით, რა გაუბედა სრულიად ერს ვინმე მაკეინმა, მეტსახელად „ჯეკ მაუსმა“?

ბატონო ხელისუფალნო, თქვენს ხელთაა ღია მტკიცებულებები იმისა, რომ ისედაც მრავალ დანაშაულში (როგორც სისხლის სამართლის, ასევე ყველანაირი „სხვა სამართლის“) ეჭვმიტანილი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იმართება უცხო ქვეყნიდან და მას მართავს ასევე ეჭვმიტანილი და არა მხოლოდ ეჭვმიტანილი, ძებნილი პირი, უცხო ქვეყნის მოქალაქე. რა მნიშვნელობა აქვს რა ჰქვია იმ „უცხო ქვეყანას“? ვთქვათ, რუსეთიდან რომ მართავდეს ვინმე, სხვა, ხომ ატყდებოდა განგაში? განა, კუალა ლუმპურიდან ან ბურკინა-ფასოდან კი დასაშვებია?

კეთილი ინებეთ და აღკვეთეთ კანონის მთელი სიმკაცრით ეს გაუგონარი სახემწიფოებრივი დონის თავხედობა და ცინიზმი!

აღკვეთეთ დამნაშავეებისთვის ახალი და უფრო დიდი სისხლისღვრის მცდელობის საფუძველი!

აღკვეთეთ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სანამ გვიანი არ არის, თორემ ურემი რომ გადაბრუნდება, გზა, რომელიც გამოჩნდება, სხვისი გზა იქნება, ურმის გადამბრუნებლის... გზა, რომელიც პირდაპირ მოუსავლეთში უკრავს პირს სრულიად საქართველოს.

გიორგი ჩხეიძე

კაცობრიობა სულიერ დეგენერატთა საზოგადოებად ყალიბდება?

XX საუკუნის ცნობილმა ღვთისმეტყველმა იუსტინე პოპოვიჩმა თანამედროვე ცივილიზაციას "ადამიანის პიროვნების წინააღმდეგ ორგანიზებული ამხედრება" უწოდა. ის სისტემატურად აჩლუნგებს პიროვნებას ადამიანში იმ დრომდე, სანამ სრულიად არ ჩააცხრობს მასში და თანამედროვე "კულტურის" ადამიანი იტყვის: "მე ვარ ხორცი და მხოლოდ ხორცი; მე ვარ მიწა და მხოლოდ მიწა. "დროის სულისკვეთება, – წერს იუსტინე პოპოვიჩი, – ბოჭავს ადამიანს თავისი თვითმპყრობელური ტირანიით, ახდენს მის მექანიზირებას: შენ მხოლოდ ერთი ჭანჭიკი ხარ თანამედროვეობაში – ამიტომაც უნდა იარსებო, როგორც ჭანჭიკმა; შენ ხარ კლავიშა ამჟამინდელი დროების დაშლილ როიალზე, კლავიატურა, რომელსაც ეხება დროის სული, ამიტომაც იარსებე როგორც კლავიშმა".

„კომფორტთაყვანისმცემელთა" თანამედროვე ცივილიზაცია თავს ინუგეშებს იმ აკვიატებული აზრით, რომ მთელი სამყარო პროგრესს განიცდის და უკეთესისკენ მიდის. მაგრამ ღმრთის გამოცხადება გვამცნებს არა სამყაროს პროგრესზე, არამედ მის დეგრადაციაზე. პროგრესს თუ არ შეუძლია ადამიანს მოუტანოს უკვდავება, მაშინ ეს არის ცრუპროგრესი, შენიღბული რეგრესი. ხოლო ჭეშმარიტი პროგრესი შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ მკვდრეთით აღმდგარ იესუ ქრისტეს. „ყოველი პროგრესი, რომელიც არ ეფუძნება ადამიანის პიროვნების უკვდავებას, – წერს იუსტინე პოპოვიჩი, – წარმოადგენს ჯადოსნურ ზღაპარს და გამონაგონს, რაც ეზმანება სიკვდილის დრაკონს ჩახუტებულ უბედურ ადამიანს"

თანამედროვე ადამიანი მოექცა ტექნიკური პროგრესის ზეგავლენის ქვეშ და გახდა მისი მოხმარების, მდაბიო ვნებების დაკმაყოფილების საგანი. მსოფლიო სულ უფრო და უფრო ეფლობა ვნებათა ჭაობში, მისი არსებობა გაჭიანურებულ აგონიაში გადადის. კაცობრიობამ, რომელიც საკუთარ "ღიპში" ცხოვრობს, თავისი ვნებების დაკმაყოფილების ზღვარი არ იცის. უმეტესწილად, ადამიანები, როგორც წმ. იოანე ოქროპირი ამბობდა, "მუცლისთვის ცხოვრობენ, მიეწებნენ აწმყოს და თავიანთი ვნებიანობითა და სიხარბით არაფრით ჯობიან ღორებსა და თხებს, რომლებმაც მარტო ის იციან, რა ჭამონ, რა სვან, ვის ეჩხუბონ და ა. შ... იუსტინე პოპოვიჩი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ "ევროპული ჰუმანისტური პროგრესის" თანამედროვე ადამიანი საშინლად ცარიელია იმ მიზეზით, რომ მისი შეგნებისგან სრულიად განდევნილია "პირადი უკვდავების გრძნობა", რომლის გარეშეც ადამიანი არ შეიძლება იყოს ადამიანი... ო, როგორ არის შევიწროებული ევროპელი ადამიანი, ფენომენალურად შევიწროებულია და დამცირებული, დაკნინებული, დამახინჯებული, მიყვანილია ადამიანის ნამტვრევისა და ნაგლეჯის დონემდე, რადგან მისგან გამოდევნილია უსასრულობისა და მარადიულობის ყოველგვარი გრძნობა. "მაგრამ რა არის ადამიანი მარადისობის გარეშე? განა მკვდარი არ არის იგი ამ გრძნობის გარეშე? განა ნივთი არ ხდება იგი ნივთებს შორის და პირუტყვი პირუტყვებს შორის?"

ჰუმანისტური ადამიანი, – აგრძელებს იუსტინე პოპოვიჩი, – დაპატარავებულია, დამჭკნარია, განივთიერებულია, ამიტომაც, სულაც ბუნებრივია და არ უნდა გვიკვირდეს, როდესაც ამგვარი არსება თავისი ფილოსოფოსების პირით აცხადებს, რომ მისი წინაპარი იყო მაიმუნი.

წარმომავლობით ცხოველებთან გაიგივებული, რატომ მორალითაც არ უნდა უიგივებდეს მათ თავს? და თუ თავისი არსით მეტაფიზიკურად განეკუთვნება ცხოველებისა და პიტურტყვების კლასს, მათვე ეკუთვნის მორალური თვალსაზრისით... რადგან თუ ადამიანში არაფერია მარადიული და უკვდავი, მთელი ეს ეთიკა, ბოლოს და ბოლოს, მივა ინსტინქტურ მისწრაფებამდე. და ჰუმანისტური ადამიანი, რომელიც თანამიმდევრულია თავის ლოგიკაში, ეთიკურადაც თავის "წინაპრებს", მაიმუნებსა და მხეცებს მიემსგავსება და მისი ცხოვრების უმთავრესი პრინციპი გახდება დევიზი: ადამიანი ადამიანისთ მგელია.

ადამიანი დღეს იმდენად გაბოროტებულია, იმდენად გაქვავებულია, დაბნელებულია და მიცემულია ამაოებას, რომ სულიერი ცხოვრებისთვის უკვე არც ძალა ყოფნის და არც ადგილი აქვს გულში. პაისი მთაწმინდელი ამბობს, რომ "ეშმაკის ძალაუფლების ქვეშ არის ის, ვინც ამაოებას არის მიძალებული. ამაოებით დატყვევებული გული აბრკოლებს სულის განვითარებას და აბნელებს გონებას. და მაშინ, ადამიანი მხოლოდ გარეგნულად ჩანს ადამიანად, არსებითად კი ის არის სულიერად უმწიფარი".

მიწიერი, ეგოისტური ცხოვრება უფრო რომ გაიხანგრძლივონ, და მეტიც, მარადიული შექმნან, ყველაზე თანამედროვე მეცნიერულ "მიღწევებს" იყენებენ. "ახალი ტექნოლოგიების" დახმარებით თანამედროვე, ღმრთისგან განმდგარი კაცობრიობა, უკვდავებას ელტვის. მაგრამ უკვდავება მათ მიერ გაიგება, როგორც სხეულის უკვდავება.

„ჩვენი დროისთვის, – წერდა სერაფიმ როუზი, -დამახასიათებელია სიყვარულის გაცივება, რომელიც სახარებაში ქრისტეს მეორედ მოსვლის მოახლოვების ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად მიიჩნევა, და დამახასიათებელია ის უფრო მეტად, ვიდრე ისტორიის სხვა რომელიმე პერიოდისთვის".



ამ აპოკალიფსურ ნიშანს დღეს მრავალი ამჩნევს. მკვეთრად შეიგრძნობა მსოფლიო ცხოვრებისა და ადამიანურ ურთიერთობათა სიცივე. ურთიერთგაუცხოება და მზაკვრობა რომელსაც საფუძვლად შიში და სხვა ადამიანების მოწინააღმდეგეებად აღქმა უდევს თანამედროვე ცხოვრების გაბატონებული ტონი გახდა. მსოფლიოს "გამხეცებამ" საშინელ მასშტაბებს მიაღწია. მსოფლიო მხეცებით სავსე უდაბნოს დაემსგავსა, რადგან არ იგრძნობა მასში ღმრთის სულის მოვანება, რომელიც გააცოცხლებდა და გაამხნევებდა დაწყურებულ სულებს. ადამიანები გაუცხოვდნენ ღმრთისგან და გაბოროტდნენ.

თვით ურწმუნო ან მცირედმორწმუნე ადამიანებისგანაც კი გაიგებ დღეს ასეთ ფრაზას: "ადამიანები პირუტყვებზე უარესები გახდნენ". მართლაც, დღეს ადამიანები იმდენად დაშორდნენ ღმერთს, რომ პირუტყვულ-მხეცური სფეროდან გადადიან დემონურ სფეროში, უფრო და უფრო ეფლობიან სატანურ უფსკრულში. თანამედროვე ადამიანი-მხეცი – ეს არა მარტო არაადამიანია როგორც ჩვეულებრივი მხეცი, არამედ ანტი-ადამიანი და დემონოადამიანია.

ჩვენს დროში მიზანსწრაფულად და დაჩქარებით ინგრევა მორალური ღირებულებები, გასაოცარი სისწრაფით იზრდება ეგოიზმი და წყურვილი მატერიალური სიკეთეებისადმი. ინგრევა ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც ყოველთვის იყო ღირსეული ადამიანური ცხოვრებისა და პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველი. შეიმჩნევა უიმედობის საერთო-საზოგადო განწყობა, ადამიანთა არნახული დამნაშავეობა და გარყვნილება, რომლებიც ებრძვიან ღმრთის განგებას ადამიანში და ადამიანურ ბუნებაში. ქრისტეანული სარწმუნოებიდან განდგომა, ჭეშმარიტი სულიერებისა და რელიგიური ცხოვრების გარყვნა – თანამედროვე ცხოვრების საყოველთაო ნიშანი გახდა.

იცვლება ადამიანურობის ხატი, ურთიერთობა ადამიანებს შორის. ურთიერთგაუცხოება ნორმა გახდა. მიზანმიმართულად ირღვევა ტრადიციული ადამიანური კავშირები. იკარგება სიღრმისეული კავშირი მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის.

თანამედროვე ბავშვებმა არ იციან ზნეობრიობის ელემენტარული ნორმები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ადამიანური პიროვნების ჩამოყალიბება, სამაგიეროდ საკმაოდ სწრაფად ეუფლებიან პრაქტიკულობას. თუმცა, მათი პრაქტიკულობა საზიანოა. ერთის მხრივ განსაკუთრებულად არ მიელტვიან ამქვეყნიურ სიმდიდრეს, მაგრამ მეორეს მხრივ, არ სურთ რაიმეში დათრგუნონ საკუთარი სურვილები. ცხოველთა მსგავსად, სრულიად ემონებიან წუთიერ და ვნებიან მიდრეკილებებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული განვითარების პარალელურად მიმდინარეობს სულიერი ცხოვრების უკუსვლა, იზრდება გულგრილობა და მტრობა ყოველივე სულიერისადმი. ქცევის ნორმები, რომელსაც რელიგია იძლევა, წარსულს ბარდება. თანამედროვე ცხოვრება კარნახობს რეკომენდაციებს, რომელიც ითვალისწინებს ახალ ნორმებს, უფრო მსუბუქს და სასიამოვნოს, ვიდრე ის ნორმებია, რომლის მიხედვითაც კაცობრიობა ცხოვრობდა ათასწლეულების განმავლობაში. ადამიანებს მეტი უფლებები მიეცათ, მაგრამ უფრო და უფრო ნაკლები ზნეობრივი მოვალეობები.

გარდა ამისა, ყველგან კვდება თავისუფლება – პოლიტიკური, ეკონომიკური და პირადი. თავისუფლება ადამიანს სჭირდება თავისი უმაღლესი სულიერი და შემოქმედებითი მოთხოვნილებების განსახორციელებლად. მატერიალური სიკეთეების გამოსაყენებლად თავისუფლება საჭირო არ არის. არსებობს მრავალი ადამიანი, ვინც არ აფასებს თავისუფლებას და არც საჭიროებს მას. იმ ქვეყნებშიაც კი, რომლებიც ტოტალიტარულად არ ითვლებიან და ჯერ კიდევ სრულად არ დაუკარგავთ თავისუფლება, თითქმის ყველა შეიწყნარებს ახალ კანონებს და სულ უფრო უმორჩილებს ქვეყნის მოსახლეობას მის მმართველებს. თავისუფლების გარეშე ცხოვრება ადვილია. რამდენი ადამიანი მისცემდა თავის თავისუფლებას, მშვიდი და კომფორტული ცხოვრებისთვის. ადვილია უპასუხისმგებლო ცხოვრება, როდესაც არავინ არაფრისთვის პასუხს არ გთხოვს, მაგრამ ამასთან იკარგება ყველაზე მნიშვნელოვანი – უპასუხისმგებლო ცხოვრება ყოველთვის არასულიერია.

პასუხისმგებლობის გრძნობა პიროვნების განვითარების ერთ ერთი უმთავრესი ნიშანია, ნორმალური ადამიანის ერთ ერთი უმთავრესი თვისებაა. დღეს ყალიბდება სულიერ დეგენერატთა საზოგადოება, თანამედროვე ადამიანის ეგოცენტრული ქცევა ატომიზირებს მას, განყოფს სხვებისგან. ის არ რეაგირებს ნათესავებისა და ახლობლების გაჭირვებაზე, უარს ამბობს ოჯახურ უღელზე, ბავშვების გაზრდის პასუხისმგებლობაზე, ერისა და სამშობლოს ბედ-იღბალზე.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

სოსო ცინცაძე:
რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ წამყვანი მოთამაშე? იმიტომ რომ გუბაზ სანიკიძეს და სხვებს რაღაცეები ესიზმრებათ?

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, ახლახან, კვლავ შედგა პუტინისა და ერდოღანის შეხვედრა, პარალელურად, რუსეთის პრეზიდენტი ჩინეთში ბარაკ ობამასაც შეხვდა. რა ხდება მსოფლიოში, რა პროცესები ვითარდება?

— ახლახან, გუბაზ სანიკიძის ზღაპრებს ვუსმენდი: საქართველომ სერიოზული მოთამაშის როლი უნდა იტვირთოსო... რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ სერიოზული მოთამაშე, ერთი ამიხსენით. მითხარით, რა გვაქვს გამორჩეული გარდა გეოგრაფიული მდებარეობისა — არმია გვყავს ძლიერი, ცხოვრება გვაქვს კარგი, ნავთობი გვაქვს, გაზი თუ რა? რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ წამყვანი მოთამაშე იმიტომ, რომ გუბაზ სანიკიძეს რაღაც ეები ესიზმრება?! მისი მსჯელობა მეოთხე კლასის მოსწავლის დონეზეა. სჯობს, დავივიწყოთ რა უნდა ვიყოთ და ვილაპარაკოთ რანი ვართ. რაც შეეხება პუტინის შეხვედრებს და მოლაპარაკებებს, ეს ჩვენ, აბსოლუტურად, არაფერში გვეხება, ვინაიდან ჩვენი აზრი არავის აინტერესებს. არავითარი რესურსი არ გვაქვს დიდი მოთამაშეების მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე რაიმე ზეგავლენა მოვახდინოთ. ამიტომ, თამაშგარე მდგომარეობაში ვართ, ელემენტარულად, ქრონიკულ „ოფსაიდში“ ვიმყოფებით.

— ქრონიკული „ოფსაიდიდან“ გამოსვლის გზა თუ არსებობს?

— ამისათვის, ქვეყნის შიგნით, წესრიგი უნდა იყოს. პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით ხალხი ადამიანურად უნდა ცხოვრობდეს, მოისპოს ნეპოტიზმი და პროფესიონალიზმი დაფასდეს. პროფესიონალიზმი ბიზნესში, პოლიტიკაში, საგარეო პოლიტიკაში, ქვეყნის მართვაში და თუ გნებავთ, პარლამენტში. პარლამენტი როგორც ერთმა თქვენმა კოლეგამ დაწერა, პოლიტიკურ ზოოპარკად არ უნდა იქცეს და ისეთი ადამიანი როგორიც სალომე ზურაბიშვილია კიდევ მეასედ არ შეეცადოს ხელისუფლებაში მოსვლას და თავისი სულელური იდეებით ჩვენს კისერზე დაჯდომას. ესაა საჭირო.

— ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხზე კენჭისყრა გაიმართა. ჩვენი მხარე იმედოვნებს, რომ მალე უვიზო რეჟიმი ხელმისაწვდომი იქნება. რა იცვლება ამით?

— რა უნდა შეიცვალოს, ერთი გამაგებინეთ მაშინ, როცა მილიონ ნახევარ მუსულმანს კარები გაუღეს და ევროპაში შეუშვეს, სადაც მშვენივრად ცხოვრობენ. საქართველოდან, ხანდახან, სამი მილიონი მოსახლიდან სამი ათასი კაცი თუ წავა და ევროპაში იმოგზაურებს, ეს რას ცვლის ან ევროპისთვის ან საქართველოსთვის, არ მესმის. გვეუბნებიან, ახლა შეგვეძლება თავისუფლად ვიმოგზაუროთო. ვისაც ფული აქვს დღესაც თავისუფლად მოგზაურობს, ვისაც არ აქვს — ბათუმში ვერ ჩასულა ერთი კვირით დასასვენებლად და ნიცაში დაისვენებს?!

— ბატონო სოსო, წეღან ახსენეთ, პარლამენტში პროფესიონალიზმია საჭიროო. რა მოლოდინი გაქვთ?

— მმართველი პარტია, ალბათ, უმრავლესობას შეინარჩუნებს. იგი მაინც ყველაზე მეტ მაჟორიტარს გაიყვანს. სხვა პარტიებში ხომ საერთოდ საშინელი მდგომარეობაა, გადახედეთ, რა ხდება.

— ბატონო სოსო, „ქართულმა ოცნებამ“ განცხადება გააკეთა „ნაციონალები“ არეულობისთვის ემზადებიანო.

— პირველად, სამი წლის წინ მოვისმინე, რომ „ნაციონალები“ არეულობისთვის ემზადებოდნენ და საბურავებს ყიდულობდნენ. თუ გახსოვთ, მაშინ სამშობლოს ღალატის მუხლით აღიძრა საქმე და დაგვპირდნენ: ახლო მომავალში ჩვენ გავხსნით საქმეს სამშობლოს ღალატის მუხლითო. ამ ნათქვამს საქმე არ უნდა მოჰყოლოდა?! მას მერე სამი წელი გავიდა, ერთი კაცი არ დაპატიმრებულა, ერთი საბურავი არ გვინახავს. ამის მერე კიდევ რამდენი ბრალდება იყო და არაფერი დადასტურებულა. რისი ბრალია ეს? ვიძახით მგელი მოდის, მგელი მოდისო და ისე არ დაგვემართოს მგელი მართლა რომ მოვიდა და ყველა მოუმზადებელი დახვდა. თუ მართლა ასე მოხდა, ეს, პირველ რიგში, „ნაციონალების“ „დამსახურება“ იქნება.

თუ დაპირისპირება მოხდა, ეს იქნება ყველაზე საშინელი დაპირისპირება რაც კაცობრიობამ იცის — ესაა მდიდრებისა და ღარიბების ურთიერთდაპირისპირება. საქართველოში იდეოლოგიურ საფუძვლებზე დაპირისპირება იშვიათი მოვლენაა. ვინაიდან, როდესაც მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები პირიქით, უფრო ღარიბდებიან. ყველა კვლევა აჩვენებს, რომ მთავარი პრობლემა შიმშილი, ანუ, უმუშევრობაა.

— სამეგრელოში სანდრა რულოვსის კანდიდატად წარდგენას დიდი ხმაური მოჰყვა. აქეთ, ბარამიძე, რომლისთვისაც აფრასიძეების საქმე ხალხს არ უპატიებია, მუხიანის მოსახლეობას ბედნიერ ცხოვრებას ჰპირდება.

— დიახ, თუმცა ისეთი ფონია, რომ საზოგადოება ამასაც ეჩვევა. ისეთი სიტუაციაა შექმნილი, განწყობა არაა, რომ რაღაცაში ეჭვმიტანილმა ადამიანმა ვეღარ გაბედოს ხალხის ნდობისათვის ბრძოლა. მაგრამ ეს, უკვე, ჩვენი ელექტორატის, მათი განწყობილების, დაბალი პოლიტიკური კულტურის ბრალია. სანდრა რულოვსის მიმართ უკმაყოფილება გასაგებია, მაგრამ მარტო ამით უნდა ამოვწუროთ უარყოფითი დამოკიდებულება?! ქართული დიპლომატია, საგარეო საქმეთა სამინისტრო ვინც მიწასთან გაასწორა — სალომე ზურაბიშვილის ქალზე ხმას რატომ არავინ იღებთ, ერთი მითხარით? აღარაფერს ვამბობ მის პირად თვისებებზე, არამედ პროფესიონალიზმზე მაქვს საუბარი. თავად ვარ მოწმე, დიპლომატიის აკადემიის 25 ბრწყინვალე ახალგაზრდა როგორ გამოყარა ერთ დღეში სამსახურიდან. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მის ხასიათს ორი ბრწყინვალე დიპლომატი ალექსანდრე ჩიკვაიძე და გიგა ბურდული ემსხვერპლა — ერთიც და მეორეც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უსამართლოდ მოხსნა თანამდებობიდან. ესაა ქალი რომელიც მოვიდა და მინისტრის რანგში პირველი განცხადება ასეთი გააკეთა: ყველამ გაითვალისწინეთ, ძალიან ცუდი ხასიათი მაქვსო. ქალი რომელიც მინისტრის თანამდებობაზე მოვიდა და მთელი მსოფლიოს თვალში სასაცილოდ გაგვხადა — ჩვენს ღიპიან, პატარა ელჩებს ჩოხები ჩააცვა. ეს დაგავიწყდათ? ესაა ქალი რომელმაც ელჩებს სპეციალური მემორანდუმი მოსთხოვა — უცხოეთიდან ერთ გვერდზე მეტი მოხსენებები არ გამომიგზავნოთო. იმიტომ, რომ ქართულად ნორმალურად, ვერ კითხულობს. ეს ყველას დაგავიწყდათ, არა? გავიძახით, რულოვსმა როგორ გაბედა არჩევნებში მონაწილეობაო, კი ბატონო, მაგრამ ისიც ვიკითხოთ ზურაბიშვილმა როგორ გაბედა? ჩამოვა აქ იყრის კენჭს, მერე საფრანგეთში წაბრძანდება. სად გაგონილა, უცხო ქვეყანა ხელფასს უხდიდა და ძალიან მშვიდი სინდისით ღებულობდა ორი წელი აქ, ზღაპრულ ხელფასს მინისტრის რანგში. ეს აღარავის აღარ გახსოვთ? ჰოლანდიელმა რულოვსმა უკეთესი ქართული იცის, ვიდრე ქართველმა ზურაბიშვილმა. მოუსმინეთ, ზურაბიშვილის ქართულს, ნამდვილი ტანჯვაა. ეს ჟურნალისტებს რატომღაც არ აწუხებთ. აქედან გამომდინარე, ნურაფერი გიკვირთ. მე, უკვე აღარაფერი მიკვირს აღარც რულოვსი, აღარც ბარამიძე.

— ბატონო სოსო, არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება. დასაწყისში აღნიშნეთ, პროფესიონალიზმის კუთხით, პარლამენტში უარეს შემადგენლობას ველოდებიო.

— პარლამენტი, ალბათ, მრავალპარტიული იქნება, 4-5 პარტია შევა, მაგრამ ვინაიდან ქართულ პოლიტიკაში ფულის ეშხი ძალიან მაღალია, ჯუჯა პარტიებმა აუქციონზე საკუთარი თავის გატანა უკვე დაიწყეს. ხომ არსებობს სახელმწიფოები, მაგალითად, ნაურუ და სხვები, რომლებიც აღიარება-არაღიარებით ფულს აკეთებენ. ნაურუმ უკვე სამჯერ აღიარა ხან ჩინეთი, ხან ტაივანი, ხან აფხაზეთი. მერე ამერიკელებმა მეტი ფული მისცეს და აფხაზეთის აღიარებაზე უარი თქვა. ჩვენ კი გვყავს პარტიები, რომლებიც ეგრევე აუქციონზე გაიყიდნენ შიშკები თუ გირჩი, ასევე, ბურჯანაძის ფრაქცია საკრებულოში, კიდევ გაიყიდებიან სხვებიც.

— რადგან ბურჯანაძე ახსენეთ, აქვე გკითხავთ, რომელს უჭერთ მხარს უბლოკო სტატუსს თუ ევროატლანტიკურ კურსს?

— უბლოკო სტატუსი, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ყველაზე სწორად მიმაჩნია. ეს არაა იდეალური. იდეალურია, როგორც ისრაელს ჩვენც თავად შეგვეძლოს საკუთარი თავის დაცვა. ისრაელი არც ნატოს წევრია, არც უბლოკოა, არც ბლოკიანი იმიტომ, რომ თავად იცავს საკუთარ თავს. ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარი თავის დაცვა. ამიტომ, ამ რეალობის გათვალისწინებით და პლუს იმ რეალობის გათვალისწინებითაც, რომ ნატოში არ გვღებულობენ, უბლოკო სტატუსი ყველაზე რეალურია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ფული – ჩვენი დროის ღმერთი და როტშილდი, მისი წინასწარმეტყველი

მოტყუებული მეანაბრეები, რომელთაც თაღლითობით გამოსძალეს უკანასკნელი დანაზოგი და იპოთეკით დაზარალებული ათეულ ათასობით ადამიანი, რომელთაც ერთადერთი თავშესაფრის დაკარგვა ემუქრებათ, ე.წ. დამოუკიდებელი საქართველოს სამწუხარო რეალობაა. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ შეძლებისდაგვარად განგვეხილა რას წარმოადგენს საბანკო კაპიტალიზმი, რომლის ასე ვთქვათ, მსხვერპლი უამრავი ადამიანი გახდა და რომელიც საუკუნეების წინ იღებს სათავეს. წინამდებარე სტატია, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ, ეკონომისტ დავით გაგნიძის მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით მომზადდა.

ცნობილ გერმანელ პოეტ ჰაინრიხ ჰაინეს თავის დროზე უთქვამს, ფული ჩვენი დროის ღმერთია, ხოლო როტშილდი მისი წინასწარმეტყველიო. ვფიქრობთ, საუკუნეების შემდეგაც ვითარება დიდად არ შეცვლილა, პირიქით, მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა და „წინაწარმეტყველის“ ფუნქციას ახლა კოლექტიური როტშილდები ასრულებენ. მსოფლიოში პირველი კერძო ბანკი, რომელსაც ემისიის (ფულის გამოშვება) უფლება მიეცა, მე-17 საუკუნის მიწურულს ინგლისში ჩამოყალიბდა. ბანკირთა გარკვეულმა ჯგუფმა ფულის გამოშვება დაიწყო, ოღონდ ეს ფული არა ლითონის, არამედ ქაღალდისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული, რომელსაც ნებისმიერ დროს გადააზურდავებდნენ ლითონის ფულზე. მათ ფაქტობრივად, თაღლითობა დაიწყეს, ქაღალდის ფულს იმაზე მეტს უშვებდნენ, ვიდრე ძვირფასი ლითონი ჰქონდათ, რაც ნიშნავს, რომ ეს ფული „გამაგრებული“ არ იყო. აშშ-ის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ინგლისელმა ბანკირებმა ამ ქვეყანაზე კონტროლი დაკარგეს, თუმცა 1913 წელს პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის განკარგულებით, აშშ-ში ფედერალური სარეზერვო ბანკი შეიქმნა, რომელიც ასევე კერძო ბანკი იყო. ნიუ-იორკში ამ ბანკის აქციებს ფლობდნენ როტშილდები – „როტშილდ ბენქ“ (ლონდონი, ბერლინი, პარიზი); ძმები ლაზარები - „ლაზარდ ბრაზერსი“ (პარიზი); მოზეს ისრაელ სეიფი (იტალია); შიფები (გერმანია, ნიუ-იორკი); ვარბურგები - „ვარბურგ ბანკი“ (ამსტერდამი, ჰამბურგი); ძმები ლემანები - „ლემან ბრაზერსი“ და „გოლდმენ საჩსი“ (ნიუ-იორკი); როკფელერები (ნიუ-იორკი) და მორგანები (ნიუ-იორკი). შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში ყველა ქვენის ფული ოქროსგან იყო დამზადებული. ამ ბანკირების ერთადერთი მიზანი სხვა ქვეყნების ეკონომიკის განადგურება იყო, მართლაც მალევე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რასაც ოქროს მანეთისა და ოქროს მარკის „დაკარგვა“ მოყვა. მოგვიანებით მეორე მსოფლიო ომი იწყება, რომლის მიწურულსაც (1944 წელი), მსოფლიო ვალუტად აშშ დოლარი დადგინდა. მილიარდერმა უორენ ბაფენმა ფინანსებს „მასიური განადგურების ფინანსური იარაღი“ უწოდა. „საერთო გაზეთში“ არაერთხელ დაიწერა, რომ ნარკომაფიის „შავი ფულის“ ე.წ. გარეცხვა, წლების განმავლობაში სწორედ მსოფლიო ბანკების მეშვეობით ხდებოდა, რომლის მასშტაბებიც ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. პირველად ამგვარი გარიგების ფაქტები 1950 წელს გახმაურდა, როცა მორგანების „მორგან გარანტი ტრასტი“ და როკფელერების „ჩეიზ მანჰეტენ ბანკი“ პირდაპირ იყვნენ ჩართულნი უმსხვილესი ნარკოსინდიკატების დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფულის ლეგალიზებაში. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის სოციალისტურ ბანაკში, პრაქტიკულად აღმოფხვრილი იყო ეს „სენი“, თუმცა კაპიტალისტურ სამყაროშიც ერთეული შემთხვევები იყო. ფულის მასიური „გარეცხვა“ 1991 წლიდან დაიწყო, როცა სოციალისტური ბანაკი და თვით საბჭოთა კავშირიც დაიშალა. საერთაშორისო დანაშაულებრივმა დაჯგუფებების მხრიდან მყისიერი რეაგირება მოხდა საზღვრებზე კონტროლი შემცირებაზე და ოფშორული ზონის ქვეყნებში „ფინანსური სამოთხის“ შექმნამ მასიური სახე მიიღო, ოღონდ ეს „სამოთხე“ არა ამ ქვეყნების მოსახლეობას, არამედ უკანონო ფულის „გათეთრებას“ ემსახურებოდა. ხსენებული დაჯგუფების წევრები რიგითი კრიმინალები არ ყოფილან, ისინი მსხვილი, გავლენიანი ქვეყნების საკვანძო თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ. მათ დიდი ფულის შოვნის სურვილი ამოძრავებდათ, რის მოთვისებასაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი კონტროლის გამო, ვერ ახერხებდნენ, უკანონო გზებით მიღებულ ფინანსები კი ბიუროკრატიული აპარატის ჩარევას არ საჭიროებს. ამ ჩინოსნებს შეეძლოთ ხსენებული ფინანსები თავისუფლად, თანაც ოპერატიულად გამოეყენებინათ იმ საქმისთვის, რასაც საჭიროდ ჩათვლიდნენ და თავიანთთვისაც „მოტეხავდნენ“, გაუთვალისწინებელი ხარჯების ეგიდით. საგულისხმოა ის გარემოება, რომ 70-იანი წლების დასაწყისიდან აშშ დოლარს საერთოდ მოუხსნეს გარანტია და საბეჭდ დაზგას დაუქვემდებარეს, ანუ პირდაპირ გაათავისუფლეს ყოველგვარი უზრუნველყოფისგან. დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმაც ამ პერიოდიდან შექმნეს საკუთარი საერთაშორისო ფინანსური ქსელი, რაც ბუნებრივია, ბანკების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ეს პერიოდი ემთხვევა „ცივ ომს“, რომელსაც ასე ვთქვათ, ფარული მხარეც გააჩნდა, რაც ნარკოტიკების მოყვანა-გადაზიდვა-რეალიზაცია და ფულადი სახსრების ლეგალიზაცია იყო.

ნარკოტიკებსა და მასთან დაკავშირებულ ფულად ოპერაციებს, ყველა შემთხვევაში სპეცსამსახურებამდე მივყავართ, რომლებიც ვითომდა დაუცხრომლად ებრძვიან ნარკობიზნესს, რადგან რეალურად სწორედ ისინი აკონტროლებენ ნებისმიერ სახელმწიფოს. სპეცსამსახურები, შეიძლება ითქვას, კანონზე მაღლა დგანან, მათი მეშვეობით ხდება ყველა კონფლიქტისა თუ უთანხმოების მოგვარება, ყველა საელჩო იმ ქვეყნის სპეცსამსახურების ოფიციალური თავშესაფარია, რომელთა სახელითაც მოქმედებენ და მასმედიის წარმომადგენელთა უმეტესობაც, სწორედ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს. ვგულისხმობთ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს, რომელთან თანამშრომლობის მთავარი მოტივი დიდი ფულია, აი, ამ ფულზე დახარბებულ კასტას, რატომღაც საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობა, დიდ ცოდვად მიაჩნია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მსოფლიოს ფაქტობრივი მმართველი ბანკები არიან, რადგან ფული იქ არის და სპეცსამსახურების გაერთიანებული ცენტრალური ორდენიც მათ ემსახურება. სტალინმა თავისი მმართველობის პერიოდში მთელი ევროპაში შეუზღუდა მათ ეს უფლებები, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკას მხოლოდ იმიტომ ვერ მისწვდა, რომ ისინი კუნძულოვანი სახელმწიფოებია და გაფაციცებით ადევნებენ თვალს, არავინ მიუახლოვდეს. საკმარისია, მათ მცირედი ეჭვი გაუჩნდეთ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში რაღაც აბსურდის თეატრი გათამაშდება. სტალინის სიკვდილის შემდეგ, დასავლეთის ქვეყნებს ხელფეხი გაეხსნათ, რადგან მისმა „მემკვიდრეებმა“ ვერ შეძლეს სპეცსამსახურების და ბანკების კონტროლი, რაც საერთაშორისო სპეცსამსახურების ორდენის ხელში გადავიდა, ეს პროცესი მიზანმიმართულად და შეფარულად მიმდინარეობდა, რომ თითქმის ვერავინ შეამჩნია და საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ქვეყნის მმართველი ელიტა მათ ხელში მარიონეტებად იქცა. ბანკირ ნათან როტშილდს ნათქვამიც აქვს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მარიონეტი ზის ბრიტანული იმპერიის ტახტზე. ადამიანი, რომელიც აკონტროლებს ფულის გამოშვებას ბრიტანეთში, აკონტროლებს ბრიტანეთის იმპერიას და სწორედ მე ვაკონტროლებ ბრიტანეთში ფულის გამოშვებასო. „ცივ ომის“ დროსაც მოგებულები ბანკები რჩებოდნენ, რომლებსაც სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის შუამავლის ფუნქციასაც ასრულებდნენ, პარალელურად ნიადაგს ამზადებდნენ, რომ ხელში ჩაეგდოთ ნარკობიზნესიც. ტყუილად არ უწოდებენ საერთაშორისო ბანკებს ნარკოკარტელების ფინანსურ სამსახურს, თუმცა ბოლო პერიოდში ბანკები და ნარკოკარტელები უკვე ერთი მთლიანი კრიმინალური ორგანოა, მათ შორის ზღვარი აღარ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს ზღვარი ბინძურ და სუფთა ფულს შორის. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სტალინის მმართველობის პერიოდში, სოციალისტურმა ბანაკმა უმეტესწილად შეძლო ბინძურსა და სუფთა ფულს შორის ზღვრის გავლება, საბჭოთა კავშირში ამ პრობლემის მთლიანად აღმოფხვრასაც შეძლებდნენ, სტალინის რეფორმები რომ განეხორციელებინათ. იბადება კითხვა, ვის ინტერესებში შედიოდა სტალინის სიკვდილის შემდეგ ამ ყველაფრის დანგრევა და რომელ სახელმწიფოებრივ მოდელში იყო ადამიანი უფრო ღირებული. ვფიქრობთ, ეჭვს არ იწვევს, რომ საბანკო-კაპიტალისტური მოდელი უბრალო ადამიანის ინტერესებს არ ითვალისწინებს და იგი განწირული ჰყავს. საბანკო კაპიტალიზმი ნელნელა მეთოდურად ანადგურებს პიროვნებას, სპობს მის ზნეობასა და მორალს, მოწოდებულია მას მხოლოდ მომხმარებლის და ბანკების ინტერესების გამტარებლის ფუნქცია ჰქონდეს, სანაცვლოდ კი ორ სატყუარას აძლევს დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების სახით. მართალია 90-იან წლებში ხსენებულ ორ სისტემას შორის ომი დამთავრდა, მაგრამ ნარკოტრაფიკის დალაგებული მარშრუტების გამო, ფარული სამკვდრო-სასიცოცხლო კვლავ გრძელდებოდა. მსხვილ ბანკებს „დამხმარეებიც“ გამოუჩნდნენ პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტურ სივრცეში კომერციული ბანკების სახით, სწორედ მათ იტვირთეს ე.წ. შავი ფულის „გამთეთრებლის“

ფუნქცია, ამიტომაც უწოდეს მათ „სამრეცხაოები“. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნარკობიზნესიდან მიღებული ფულადი ამონაგებები ძალიან მნიშვნელოვანი გახდა მსოფლიო ფინანსური ბაზრისთვის, 21-ე საუკუნეში, ეს კრიმინალური საქმიანობა გახდა ეკონომიკური კრიზისის დროს, ბანკების გადარჩენის ძირითადი მექანიზმი. ამ ყველაფერს გამართლებაც მოუძებნეს, თუ ეკონომიკის განვითარება გვინდა, ხელი ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ბანკების ნორმალურ ფუნქციონირებასო, ერთი სიტყვით, ბანკები კანონზე მაღლა დააყენეს და ყველა მოკვდავს აიძულებენ, მათი ყურმოჭრილი მონა გახდეს. პერიოდულად კი გაჟღერდება ხოლმე რაიმე სკანდალი, მაგრამ მთლიანობაში ბანკები და სახელმწიფოების მმართველი სპეცსამსახურები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან „ჩახუტებულნი“.

შეიძლება ითქვას, რომ ბანკებმა, ტოტალური „ბრძოლა“ გამოუცხადეს კაცობრიობას, უკანონო ოპერაციებიდან „ჯილდოდ“ მიღებული ფულით აკაბალებენ ხალხს და კაცმა არ იცის, როდემდე გაგრძელდება ეს ბაქხანალია. საბანკოკაპიტალურმა წყობამ, სულ რაღაც ათ წელიწადში სახე იცვალა და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს სახეზე გვაქვს ნარკობანკური კაპიტალიზმი, რომლის დროსაც მსოფლიოში მხოლოდ ორი კლასი არსებობს, კრედიტორები და ვალის მქონენი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ერთი საკმაოდ პარადოქსული დასკვნის გაკეთება, ვინაიდან ვერ ხერხდება ნარკოტიკების წარმოება-რეალიზების შეჩერება და ეს პროცესი გაცილებით ფართო მასშტაბებს იძენს, კაცობრიობის გადარჩენის მიზნით, აუცილებელია ბანკების კანონის ჩარჩოებში მოქცევა, რაც ადვილი საქმე ნამდვილად არ გახლავთ. მათი გადადგმული ყველა ნაბიჯი გამჭვირვალე უნდა იყოს, არავითარი დამატებითი ფულადი რესურსების ემისია, რადგან სწორედ ეს ზედმეტი ფული აკაბალებს სულ უფრო მეტ ადამიანს. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული გამოკვლევებით, მსოფლიოში ყოველწლიურად სამართალდამცავების მიერ ამოღებული ნარკოტიკები, მთლიანად ბრუნვაში მყოფის მხოლოდ 10-15%-ს შეადგენს. საგულისხმოა ის ვითარებაც, რომ ნარკოტრანზიტი მთლიანად სამხედროების ხელშია გადასული, აღარ არის საჭირო ნარკოდერეფნები, რადგან სამხედრო თვითმფრინავები ნარკოტიკულ ნივთიერებებს ავღანეთიდან პირდაპირ გადაიტანენ ევროპის იმ რეგიონში, სადაც ამჟამად საომარი ან დაძაბული ვითარებაა და იქიდან მოხდება „განაწილება“. დღესდღეობით, ეს ყველაზე საიმედო და მიღებული მეთოდია, რაც ჩვენი აზრით, წინა წლებში საქართველოსა და სომხეთ-ირანის საზღვარზე დიდი ოდენობით „ჰეროინის“ ამოღების გამოძახილია. სანამ იმაზე ვისაუბრებდეთ, თუ როგორ ახორციელებენ ბანკები უკანონო ფულის „გარეცხვას“, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიმინალური საქმიანობიდან ისინი თითქმის ანალოგიურ, ზოგ შემთხვევაში კი უფრო მეტ მოგებასაც ღებულობენ, ვიდრე ასე ვთქვათ, ძირითადი მოქმედი პირები, რაც რომ იტყვიან, ჰაერზე ნაშოვნი ფულია. საქმე იქამდე მივიდა, რომ რიგ შემთხვევებში ნარკოსინდიკატების წარმომადგენლები ბანკის მმართველობის წევრები არიან, ეს მაშინ, როცა ნებისმიერ სახელმწიფოში ბანკს, მათ შორის კომერციულსაც, სახელმწიფო უწევს ამა თუ იმ სახით კონტროლს. მაშ რა ხდება, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მართლაც სპეცსამსახურები, ბანკები და ნარკოსინდიკატები მართავენ მსოფლიოს? ბუნებრივია, ჩვენ ამის ოფიციალური დადასტურება არ გაგვაჩნია, მაგრამ არსებული ინფორმაციების ანალიზის შედეგად, ამ ლოგიკურ დასკვნამდე მივდივართ. სავარაუდოდ, ამ სამ ფიგურანტს ერთ მუშტად სიონისტები კრავენ, რომლებსაც მსოფლიოს მმართველობაზე აქვთ პრეტენზია.

უკანონო ფულის „გათეთრებაზე“ როცა ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი ნაღდი ფულის საკითხს, რადგან სწორედ ის გარანტია, რომელიც მავანთ მილიარდობით დოლარს „აკეთებინებს“. 1) ბანკები ისე გასცემენ სოლიდურ პროცენტიან კრედიტებს, რომ მათთვის მნიშვნელობა არ აქვს მიმღებს, მთავარია მათ „კომპეტენტური“ პირი დაუდგეს თავდებად, ამ უკანასკნელში მაღალი რანგის თანამდებობის პირები ან სპეცსამსახურები იგულისხმება, ეს ფული ხომ მათ ნდობით აღჭურვილ პირს ან სპეცსამსახურის წარმომადგენელს ჭირდება, რომ კრიმინალური საქმიანობა დაიწყოს, რომელიც დამატებით შემოსავალს მოიტანს. კრედიტის ამღები შეიძლება გრძნობებსა და ემოციებს აყოლილი პატრიოტიც იყოს, მაგრამ საეჭვოა ისე იყოს დაბრმავებული, ვერ ხვდებოდეს, რომ ასეთი ბინძური „მოღვაწეობით“ ნაშოვნი ფული, ღირსეულ ქვეყანას არ გამოადგება, ვერც სარგებელს მისცემს, რადგან წინასწარ განწირულია. კრედიტებს მაშინ იღებენ, როცა უკვე მოგვარებულია ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის არხები, ანუ დაბალი რგოლები. Mსესხებელი, როგორც წესი, ნარკოსინდიკატის უმაღლესი კატეგორიის პირია. 2) ნაღდი ფული შეაქვთ ოფშორულ ბანკებში, „ფინანსურ სამოთხეში“ საერთოდ არ ეკითხებიან ამ უზარმაზარი შენატანების წარმომავლობას. ეს ნაღდი ფული გადაირიცხება იმ ბანკში, საიდანაც კრედიტია გამოტანილი, ამას გარდა, რადგან კრედიტორს საკომისიო აქვს გადასახდელი ნარკოოპერაციების მოგებებიდან, იმავე ბანკიდან უნაღდო კრედიტებს იღებენ, ანუ ფარატინა ხელშეკრულება ფორმდება. მსოფლიო ექსპერტების განცხადებით, ბანკები ხშირად ახორციელებენ ასეთ ოპერაციებს და ძალიან წარმატებითაც. გაცემული ფულის ზედმეტობას კი შემდეგნაირად ასწორებენ – ხსენებული ნარკოსინდიკატის წარმომადგენელი იმავე ოფშორული ზონიდან დამატებით გადმოაგზავნის თანხას, ოღონდ ეს ფული სხვის სახელზეა გაფორმებული და თავის ანგარიშზე დასვამს. ბუნებრივია, მსხვილი თანხები სულ ერთ ბანკში ვერ გადაიგზავნება და ვერც კრედიტები გაიცემა, სწორედ ამიტომ არსებობს ბანკების ქსელი. ბანკები ვალდებული არიან

სახელმწიფოს მოგების გადასახადი გადაუხადონ, დაბეგვრისგან თავის დასაძვრენადაც „მშვენიერი“ სქემა აქვთ შემუშავებული, ნარკოსინდიკატების წარმომადგენლებს ანაბარი ნაღდი ფულით შეაქვთ, სიტყვაზე 10 დოლარი იმ გარანტიით, რომ 50 დოლარს მიიღებს, ხელშეკრულებას გააჩნია, ოფიციალური დოკუმენტაციიდან ისე ჩანს, რომ კონკრეტულ ბანკს სულაც არ აქვს დიდი მოგება. იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარი ოპერაციებით ნარკოსინდიკატების შემოსავალი სულ უფრო იზრდება, მათი მესვეურები სხვადასხვა ქვეყნების ბანკებს აიძულებენ, რომ გაურიგდნენ და ანალოგიური ოპერაციები ჩაატარონ. იქიდან გამომდინარე, ნარკოსინდიკატების მოგებამ 700 მილიარდ აშშ დოლლარს მიაღწია, ზოგი წყარო ტრილლიონ დოლარსაც ვარაუდობს, ადვილი წარმოსადგენია, რა დოზით არის ბანკების უმრავლესობა ბინძური ფულით გაჟღენთილი.

არსებობს ფულის „გარეცხვის“ სხვა მეთოდებიც, ეს „ბატონები“ საქართველოსნაირ შეუმდგარი ქვეყნების კომერციულ ბანკებში გახსნიან ანგარიშებს, შეიტანენ თანხას, შემდეგ ვითომ სადღაც გადარიცხავენ, ეს ფული შემოიღლის რამდენიმე უცხოურ ბანკს და „სუფთა“ სახით უკან დაბრუნდება, რასაც „დანიშნულებისამებრ“ გამოიყენებენ. ამ საქმეში არიან ჩართული სამორინეებიც (კაზინოები), სადაც სადაც ვითომდა დიდი მოგების საშუალებით ხდება ფულის გათეთრება, თუმცა ბანკებს ვერაფერს გამოაპარებ, ასე რომ, თავის საკომისიოს ყოველთვის ღებულობენ. უკვე ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ ამგვარი მაქინაციები თუ არ მოხდა, შეიძლება მსოფლიო ფინანსური ბაზარი საპნის ბუშტივით გასკდეს, რაც ვფიქრობთ, ყველა ვარიანტში გარდაუვალია, უბრალოდ, დროის საქმეა. ერთადერთი „ხსნა“ დიდი ომის ინსპირირებაა, რისი ნიშნებიც სამწუხაროდ უკვე იკვეთება. ეკონომიკური კრიზისების დროს, ბანკები ნაღდი ფულის გარეშე რჩებიან, ისინი მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებენ და კოტრდებიან. უკანასკნელი ეკონომიკური კრიზისის დროს (2008-2009 წწ) დაფიქსირდა, რომ ბევრი ცნობილი ბანკი, მათ შორის ვატიკანის ბანკი, ნარკომაფიის ნაღდი ფულის დახმარებით გადარჩა. გაეროს ყოფილი მაღალჩინოსნის, ანტონიო კოსტას განცხადებით, 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, ნარკომაფიამ მსოფლიო საბანკო სისტემის დასახმარებლად, 352 მილიარდი აშშ დოლარი გადაისროლა. ზოგიერთი ექსპერტის განმარტებით, სწორედ ამის შემდეგ უფრო მეტად შეეზარდნენ ერთმანეთს ბანკები და ნარკოსინდიკატები. ნარკომაფიამ თავისი კაპიტალი კიდევ უფრო გაზარდა, რადგან უმსხვილესი ბანკების მმართველობის წევრები გახდნენ და თვითონაც დაიწყეს „ჰაერიდან“ ფულის კეთება.

დავით გაგნიძის განცხადებით, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში საქართველოს არცერთი კომერციული ბანკი ეკონომიკური კრიზისის გამო არ გაკოტრებულა. ჩვენთან ბანკები მხოლოდ სამი მიზეზის გამო კოტრდებოდნენ, პირველი, „ათამაშებდნენ“ ე.წ. ფინანსურ პირამიდებს, მეორე, რომელიღაც „ზურგიან“ ბანკს შედარებით „უპატრონოს“ ინტერესი ჰქონდა და გადაყლაპა, ანდა „პოლიტიკური ინტერესების“ შეუთანხმებლობის გამო გაკოტრდნენ. ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს უკანასკნელნი ხალხია, ან სიმართლის მხარეს იყვნენ და იმიტომ დაიჩაგრნენ. როგორც აღვნიშნეთ, საბანკო სფეროში სახელმწიფოებრივი კანონები არ მოქმედებენ, ბანკებს მძლავრი იარაღი გააჩნიათ კრედიტისა და ფულის „გარეცხვის“ სახით, რითაც იმორჩილებენ ხელისუფლებებს და „ბრწყინვალე მომავალს“ იქმნიან. საქართველოში საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს ბანკები შუამავლად არიან ქცეული ეროვნულ ბანკსა და მოსახლეობას შორის, სწორედ მათ გაყვლიფეს და უპოვრად აქციეს მოსახლეობის უმეტესობა, თუმცა პასუხს არავინ სთხოვს.

დავით გაგნიძე: „ამ ბანკების მესვეურთათვის არ არსებობს ზნეობა და მორალი, მათი წამოწეულია ეს „ტუალეტის პროზა და პოეზია“, მათი მონაწილეობით მოწყობილმა დივერსიამ აქცია ჩვენი ეროვნული ვალუტა „ჯუჯა ლარად“, მაგრამ ვინ არის პასუხის მომთხოვნი? არც მოსთხოვენ, უფრო მეტიც, ბარე ორი ვერ გამოვა მათ წინააღმდეგ სიტყვის სათქმელადაც კი. აგერ ჰოპულარულ გაზეთს „მოუგო“ სასამართლო პროცესი „წარმატებულმა“ ბანკირმა ხაზარაძემ, რომელსაც თურმე 500 დოლარით დაუწყია „მოღვაწეობა“ და სამ მილიარდამდე აუყვანია თავისი კაპიტალი. რა დავარქვათ ამ კაპიტალს, „მტაცებლურ-მეკობრული“ თუ „ნარკობანკური“ კაპიტალი? რას უწონებს ე.წ. განვითარებული დასავლეთი ხაზარაძის ბანკს, საქართველოს ეკონომიკის წინსვლას თუ მის კანონზე მაღლა დგომას? „ცივილიზებულ დასავლეთში“ ასეთი რამ რომ მომხდარიყო, მოსახლეობა პროტესტის ნიშნად რაღაცას მაინც მოიმოქმედებდა, ჩვენთან კი ერთი ადვოკატი შიმშილობდა, რომელსაც გაბღენძილი ბანკირები დასცინოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენ არჩევნებზე რაღაც მოგონილი იდეების გამო დავდივართ, აშკარა კრიმინალს კი არ თუ ვერ ვამჩნევთ და მის აღსაკვეთადაც არ თუ ვერ ვიღებთ ზომებს. მერწმუნეთ, თავს მოხვეული დემოკრატია, ანარქიაზე უარესია. შრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, საქართველო უფსკრულის პირას, მხოლოდ ჩვენთან არსებულმა საბანკო სისტემამ მიიყვანა“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

დავით სონღულაშვილი: ჩემი მთავარი მიზანია თითოეულმა თქვენგანმა კეთილდღეობა იგრძნოს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, დავით სონღულაშვილი წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს.

ამჯერად იგი ძირკოკის, ჭანდარის, გურჯაანის მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტის მუსიკალური სკოლების პედაგოგებს შეხვდა.

„ქართული ოცნების“ კანდიდატმა შეკრებილ მოსახლეობას სამომავლო გეგმები გააცნო და მათ სხვადასხვა საკითხზე გაესაუბრა.

„ჩემი მთავარი მიზანია კეთილდღეობა იგრძნოს თითოეულმა თქვენგანმა და ეს არ იყოს ერთეულების პრივილეგია. ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ძლიერი გურჯაანი, გურჯაანს შეუძლია წინსვლა. გპირდებით, თქვენს გვერდით ვიდგები და აქტიურად ვიმუშავებ ყველა პრობლემაზე. გურჯაანში უნდა გამოცოცხლდეს კულტურული ცხოვრება და დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ამას შევძლებთ“, – განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

ზაქარია ქუცნაშვილის წინასაარჩევნო კამპანია გრძელდება

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყაზბეგის, დუშეთისა და თიანეთის გაერთიანებული ოლქების მაჟორიტარობის კანდიდატი, ზაქარია ქუცნაშვილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ესტუმრა.

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა სოფლებში: გუდაური, კობი, ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორისციხე.

მაჟორიტარობის კანდიდატმა მოსახლეობასთან რეგიონში არსებულ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი ტურიზმის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მტკნარი და მჟავე წყლების წარმოების ინდუსტრიაში. ჩვენს მიერ მიღებული „მთის განვითარების კანონი“ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მთის საწარმოების შექმნას და მოხვეების დასაქმებას. კულტურული მემკვიდრეობის და ბუნების ძეგლების სიმრავლე დაეხმარება ყაზბეგს კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს ტურისტებისათვის. დაბა სტეფანწმინდა და მისი მიმდებარე სოფლები, კობი – გუდაურის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობის შემდეგ, გახდება საქართველოს პირველი ოთხივე სეზონის კურორტი“, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ირაკლი მეზურნიშვილი და გიორგი თოთლაძე მოსახლეობას შეხვდნენ

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კასპის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ირაკლი მეზურნიშვილი უფლისციხისა და ქვახვრელის სოფლების მოსახლეობას ესტუმრა.

შეხვედრაზე, რომელიც დიალოგის რეჟიმში წარიმართა, გამოიკვეთა ის პრობლემები და პრიორიტეტები,რაც საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია: სასმელი წყალი,გაზიფიკაცია და ინფრასტრუქტურა. მოსახლეობა ასევე დაინტერესდა ტურიზმის განვითარების კუთხით განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

„მოგეხსენებათ, რომ უფლისციხე დიდი ტურისტული პოტენციალის მატარებელი გახლავთ და მინდა გითხრათ, რომ ჩემი მიზანია გაიზარდოს რაიონში ისტორიული ძეგლების კონკურენტუნარიანობა.ამიტომ, საჭიროა ვუზრუნველყოთ მისი განვითარების სტიმულირება.ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა,ეს ოჯახების კეთილდღეობასაც ნიშნავს“,-განაცხადა ირაკლი მეზურნიშვილმა.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ქარელი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, გიორგი თოთლაძე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქარელის რაიონის სოფლების: ღოღეთის,თამარაშენის, ფცისა და ქ/შაქშაქეთის მოსახლეობას შეხვდა. სოფლის მოსახლეობის ძირითადი პრობლემა ხილის რეალიზაციაა.

„გარდა იმ პროექტებისა, რაც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში ამ სოფლებში განხორციელდა, კიდევ იქნება უამრავი პროექტი, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას გაუადვილოს და უფრო კომფორტული გახადოს ცხოვრება“, – განაცხადა შეხვედრაზე კანდიდატმა.

თავის მხრივ მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მთავრობას გზის დაგებისათვის.

ენზელ მკოიანი მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს ახალქალაქისა და ნინოწმინდის გაერთიანებულ ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ენზელ მკოიანი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძნობს.

ამჯერად ენზელ მკოიანი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების- გორელოვკის, ორლოვკის, ჟდანოვაკანის, სამების,სპასოვკისა და ეფრემოვკის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე,რომელმაც დიალოგის რეჟიმში ჩაიარა, საუბარი შეეხო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტებს. კერძოდ, თუ რა გაკეთდა ზემოხსენებულ სოფლებში 2013– 2016 წლებში და კიდევ რა არის გასაკეთებელი. დასახელდა ყველა ინფრასტრუქტურული პროგრამა, რომელიც სამომავლოდ ამ სოფლებში დაინერგება.

„ჩვენი მთავრობისთვის და ჩემთვის პრიორიტეტი იყო ყოველთვის მოქალაქეებზე ზრუნვა და მათთვის პირობების გაუმჯობესება.მსურს მოსახლეობას შევუქმნათ ცხოვრების უკეთესი პირობები. მე ვიცი ყველა თქვენი პრობლემა და ისიც, რომ განვითარებული ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობის განვითარება, განათლებული საზოგადოება, პროგრესის წინაპირობაა, სწორედ ამიტომ ჩვენი პოლიტიკური ძალა განაგრძობს მუშაობას მოსახლეობის კეთილდღეობისათვის“, – განაცხადა ენზელ მკოიანმა.

არჩილ თალაკვაძე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს შეხვდა

„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი არჩილ თალაკვაძე, გურიის გუბერნატორთან გია სალუქვაძესთან და ქალაქ ოზურგეთის მერთან ბეგლარ სიორიძესთან ერთად ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს შეხვდა.

დეპუტატობის კანდიდატთან შესახვედრად დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ვეტერანთა ორგანიზაციის 80-მდე წარმომადგენელი მივიდა, სადაც მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

„ვისაუბრეთ არამხოლოდ კონკრეტულ ბენეფიტებზე და დახმარების საკითხებზე, არამედ დასაქმების პრობლემაზეც ვიმსჯელეთ. დასაქმებასთან დაკავშირებით მათ აქვთ რამდენიმე საინტერესო პროექტი, რომლის განხორციელებაშიც დიდი ინტერესით ჩავერთვები. ვეტერანებზე ზრუნვა ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია, შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმუმი კეთდება, რათა ვეტერანების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს“ – აღნიშნა შეხვედრის დასასრულს არჩილ თალაკვაძემ.

გედევან ფოფხაძე ასპინძის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველს შეხვდა

პირველი შეხვედრა ასპინძის ამომრჩეველთან მაღალმთიანი სოფლებით დაიწყო: ჭობარეთი,ზველი,ივერია, ოშორა. დეპუტატობის კანდიდატმა მოკლედ მიმოიხილა „ქართული ოცნების“ მიერ ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებული, ხალხზე ორიენტირებული პროექტები-უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები, უფასო საბავშვო ბაღები, საყოველთაო ჯანდაცვა.

გედევან ფოფხაძემ ასევე ისა-

უბრა მთის კანონზე, რომელიც ასპინძის მუნიციპალიტეტზე სრულად ვრცელდება. იგი გლობალურ საკითხებსაც შეეხო: სახელმწიფო ინსტიტუტების დაცვას,სამართლიანობისა და თავისუფლების ხარისხის გაზრდას ქვეყნაში.

„საქართველოს მშვიდი,სწრაფი, სტაბილური განვითარება სჭირდება. სამშობლოს მარტო ხელისუფლება ვერ მიხედავს, მას ხალხმაც უნდა მიხედოს, ამიტომ უნდა დავდგეთ ერთად,ვინაიდან ერთად ბევრს შევძლებთ“, – აღნიშნა მაჟორიტარობის კანდიდატმა.

გედევან ფოფხაძემ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები მოისმინა, რაც ძირითადად სოციალურ და ყოფით საკითხებს შეეხებოდა: გზა, სარწყავი წყალი, გაზიფიცირება.

„მე ვხედავ და გულთან მიმაქვს თქვენი პრობლემები, ყველანაირად ვეცდებით, რომ ორსამ წელიწადში თქვენ გქონდეთ საბავშვო ბაღი, თუმცა ყველაფერი ერთად ვერ გადაწყდება. მაგალითად, გაზიფიცირება, უპირველესად ცენტრალურ მაგისტრალთან არსებულ სოფლებში მოხდება. მინდა, გჯეროდეთ, ჩემი უმნიშვნელო დაპირება გაცილებით რეალური იქნება, ვიდრე სხვისი გულუხვი შემოთავაზება. ჩვენ უნდა დავსახოთ რეალური, სწორი გზა, რომ ხალხი არ დარჩეს მოტყუებული და იმედგაცრუებული“, – განაცხადა მაჟორიტარობის კანდიდატმა.

გედევან ფოფხაძე ასპინძელებს დეპუტატის ბიუროსთან არსებული საკონსტიტუციო დარბაზის შექმნას დაჰპირდა, სადაც მათ საკუთარი პრობლემების გახმოვანება შეეძლებათ.

გიორგი კოპაძე წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს

„ჩვენ ეს შეხვედრები საშუალებას გვაძლევს პრობლემების სწორი იდენთიფიცირება მოვახდინოთ, რათა შემდგომში მათ მოგვარებაზე ვიმუშაოთ. დღეს, საქართველოს საკუთარი მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებული მთავრობა ჰყავს, რომლის საქმიანობის მთავარი პრინციპი გამჭვირვალობა და ღიაობაა. ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საწინდრია“, – განაცხადა გიორგი კოპაძემ.

რუსლან გაჯიევი და თამაზ ნავერიანი მოსახლეობას შეხვდნენ

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მარნეულის 35-ე ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, რუსლან გაჯიევი წინა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს. ამჯერად იგი მხარდამჭერებთან ერთად სოფელ ქეშალოში სასულიერო პირებსა და უხუცესებს შეხვდა.

შეხვედრაზე რუსლან გაჯიევმა ამომრჩევლებს მისი პოლიტიკური ხედვები გააცნო. ამასთან, მმართველი პარტია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ 2012 წლიდან დღემდე სხვადასხვა სფეროში მიღწეულ შედეგებსა და განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება სოფლის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებულ პროგრამებზეც გაამახვილა.

„ჩვენი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობა იქცა პრიორიტეტად. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამებით ისარგებლა ათასობით ფერმერმა თუ გლეხმა“, – აღნიშნა რუსლან გაჯიევმა.

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ახლოლალოსა და ზემო სარალის სოფლების მოსახლეობას შეხვდა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მარნეულის 36-ე ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, თამაზ ნავერიანი.

კანდიდატმა ამომრჩევლებთან შეხვედრისას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამები და პროექტები შეაჯამა. ამასთან, მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები მოისმინა და მათთან ერთად გადაჭრის გზებზე იმსჯელა.

თამაზ ნავერიანმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის არსებული

პოტენციალის რაციონალურად გამოყენებასა და ინვესტიციების მოზიდვაზე. ასევე, მუნიციპალიტეტში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემატიკასა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობაზე.

გელა სამხარაული: დღეს სახელმწიფო თითოეული თქვენგანის გვერდით დგას

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, გელა სამხარაულმა მორიგი შეხვედრა ქალაქ ახმეტის ამომრჩეველთან გამართა. ინფრასტრუქტურისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებასთან ერთად, მოსახლეობა კანდიდატს ქალაქში საავადმოფოს საჭიროების აუცილებლობაზე ესაუბრა.

გელა სამხარაულმა რეგიონულ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, მიმოიხილა ის მიღწევები, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში განხორციელდა. ისაუბრა თვითმმართველობებზე, როგორც მართვის და რეგულირების ყველაზე ეფექტიან მოდელზე, იმ სამომავლო პერსპექტივებზე, რაც ქვეყანას სიმშვიდისა და სტაბილურობის განცდამ შეუქმნა.

„სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე ვერ შევძლებთ სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრას, ეს პოლიტიკა მოაგვარებს სოციალურ საკითხებს, გადაჭრის უმუშევრობის პრობლემებს. ჩვენ ამ სწორ გზაზე ვდგავართ. დღეს სახელმწიფოში უზრუნველყოფილია თანაბარი სასტარტო პირობები იმისთვის, რომ შესაძლებლობების თავისუფლად გამოვლენა და განვითარება შეძლოთ. დღეს სახელმწიფო თითოეული თქვენგანის გვერდით დგას კონკრეტული ფინანსებით, კონკრეტული პროგრამებით და რაც მთავარია, გასაღების ბაზრების ხელმისაწვდომობით. მინდა ამ პროცესების აქტიური მონაწილეები გახდეთ და მერწმუნეთ, თქვენი ცხოვრება გახდება უკეთესი“, – განაცხადა გელა სამხარაულმა.

შოთა ხაბარელი მარტყოფის მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სამგორის მე-13 ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, შოთა ხაბარელი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, სოფელ მარტყოფის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრა სიმბოლურად, სოფლის საჭიდაო მოედანზე გაიმართა.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა საუბრის დაწყებისას გულწრფელად აღნიშნა მისი საკმაოდ თბილი დამოკიდებულება ამ სოფლისადმი.

„მთელი ჩემი ცხოვრება ფაქტობრივად სპორტში გავატარე, ეს სოფელი არის სპორტული სოფელი, თქვენ გყავთ მსოფლიო ჩემპიონები, ევროპის ჩემპიონები, ოლიმპიური პრიზიორები, ამ სოფელს ყავდა უდიდესი პიროვნება, ბატონი ოთარი შინჯიკაშვილი, ეს ისტორიული სოფელი მე ძალიან მიყვარს“, – განაცხადა შოთა ხაბარელმა.

შეხვედრაზე, რომელმაც დიალოგის რეჟიმში ჩაიარა, დეპუტატობის კანდიდატი დეტალურად გაეცნო მოსახლეობის თხოვნებსა და პრობლემებს. შოთა ხაბარელმა ადგილობრივებს მოუწოდა, რომ 8 ოქტომბრის არჩევნებზე აუცილებლად მივიდნენ და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ.

მოსახლეობამ შოთა ხაბარელს ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი შიოლაშვილი: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სოფელში უფრო მეტი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდეს

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ირაკლი შიოლაშვილი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ქალაქ დედოფლისწყაროში ნიკორწმინდისა და ჭავჭავაძის ქუჩების მაცხოვრებლებს შეხვდა.

შეხვედრაზე ბოლო 4 წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტსა და ზო-

10 გვ.

9 გვ.

გადად, ქვეყანაში განხორციელებულ პროექტებზე, მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრეს. კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა სამომავლო გეგმებზე.

მოსახლეობამ დეპუტატობის კანდიდატს ქალაქში არსებული პრობლემის მოგვარება სთხოვა და არჩევნებში მხარდაჭერა გამოუცხადა.

რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატების შეხვედრა მოქმედი ქარხნების თანამშრომლებთან

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები რუსთავში არსებული ორი მსხვილი კომპანიის: „პროგრესისა“ და „ყაზბეგის“ ხელმძღვანელებსა და მომუშავე პერსონალს შეხვდნენ.

შეხვედრა შპს „პროგრესის“ გენერალური დირექტორის, გიორგი თედორაძის ორგანიზებით გაიმართა. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა.

ქარხანაში არსებული ვითარება, საწარმოო პოტენციალი და ექსპორტთან დაკავშირებული პრობლემები—ეს იყო ის ძირითადი საკითხები, რომლის გარშემოც საწარმოში დასაქმებულებმა პაატა მზეიძესთან და გიორგი ბეგაძესთან, შეხვედრაზე განიხილეს. თავის მხრივ სამომავლო გეგმები და ეკონომიკური ხედვები გააცნეს დასაქმებულებს მაჟორიტარობის კანდიდატებმაც.

„სახელმწიფოს ხერხემალი არის ეკონომიკა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით იზრდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტი. ბიზნესის განვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებული უმუშევრობის პრობლემის დაძლევასთან“, – განაცხადა რუსთავის 30-ე ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატმა გიორგი ბეგაძემ.

როგორც რუსთავის 29-ე და 30-ე ოლქების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა განაცხადეს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და მხარდაჭერა იქნება მათი პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტული თემა. მთავარი დაპირება კი, რომელიც დღევანდელ შეხვედრაზე გაჟღერდა, ეს რუსთავის ინდუსტრიულ ზონად გადაქცევის პერსპექტივაა. მაჟორიტარობის კანდიდატების განცხადებით, მანდატის მოპოვების შემთხვევაში საკანონდებლო ორგანოში იმ ინიციატივებს დააყენებენ, რომელიც რუსთავში ინდუსტრიული ხაზის განვითარებას შეუწყობს ხელს.

„პრობლემები ბევრი გვაქვს, მგრამ ერთ-ერთი უმთავრესი დასაქმების პრობლემაა. რუსთავს აქვს დიდი პოტენციალი, იმისთვის რომ უმუშევართა რიცხვი მინიმუმადე შემცირდეს. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით თქვენი თანადგომით, ყველა რესურსი გამოვიყენოთ, რომ არსებული საწარმო-ქარხანები სრულ სამუშაო რეჟიმში გადავიდნენ“, – განაცხადა პაატა მზეიძემ.

გოგი მეშველიანი: „ქართულმა ოცნებამ“ აქცენტი წარმოების განვითარებაზე გააკეთა

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, გოგი მეშველიანი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში სოფელ ზვარეთისა და რატევნის მოსახლეობას შეხვდა.

მმართველი პოლიტიკური ძალის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ადგილზე გაეცნო არსებულ პრობლემებს და მთავრობის მიერ განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა.

„ქართულმა ოცნებამ“ აქცენტი წარმოების განვითარებაზე გააკეთა. მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად მიზნობრივი პროგრამები განხორციელდა. პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, 400 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია გაიცა და 165 ახალი საწარმო გაიხსნა. პრიორიტეტად იქცა სოფლის მეურნეობის განვითარება“, – განაცხადა გოგი მეშველიანმა.

მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ“ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს “ ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოფელ რატევანში ყველის მწარმოებლებს შეხვდა, მათი პრობლემები მოისმინა და მთავრობის მიერ წარმოების განვითარებაზე მიმართულ პროექტებზე ისაუბრა.

მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა მოსახლეობას სამომავლო გეგმები გააცნეს

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მარნეულის 35-ე ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, რუსლან გაჯიევი წინა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს.

ამჯერად იგი მხარდამჭერებთან ერთად კირაჩ მუღანლოსა და ყულარის სოფლების მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე რუსლან გაჯიევმა ამომრჩევლებს მისი პოლიტიკური ხედვები გააცნო. ამასთან, მმართველი პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ 2012 წლიდან დღემდე სხვადასხვა სფეროში მიღწეულ შედეგებსა და განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა.

„ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით მოსახლეობის გვერდით. ჩვენი პარტიის მმართველობის პერიოდში, მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი. განხორციელდა სოფლების გაზიფიცირება, დაიგო გზები, სასმელი წყლით უზრუნველყოფილია ისეთი დასახლებები, სადაც სასმელი წყალი არასდროს ყოფილა. ბოლო 2 წლის განმავლობაში 25-ზე მატი სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა. სკოლების რეაბილიტაცია და ახალი სკოლების მშენებლობა ახლაც მიმდინარეობს. აშენდა და კვლავ მიმდინარეობს საბავშვო ბაღების მშენებლობა. მოგვარებულია ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემები, განხორციელდა გზებისა და უბნების გარეგანათებით უზრუნველყოფა“, – განაცხადა რუსლან გაჯიევმა.

ასევე, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, კირაჩ მუღანლოსა და ყულარის მოსახლეებასთან შეხვედრისას ყურადღება სოფლის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებულ პროგრამებზე გაამახვილა.

„ჩვენი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობა იქცა პრიორიტეტად. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამებით ისარგებლა ათასობით ფერმერმა თუ გლეხმა“, – აღნიშნა რუსლან გაჯიევმა.

ამომრჩეველთან შეხვედრას აქტიურ რეჟიმში მართავს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მარნეულის 36-ე ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, თამაზ ნავერიანი.

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მორიგი შეხვედრა, ქალაქ მარნეულში, 9 აპრილისა და ქობულეთის ქუჩაზე შედგა. მაჟორიტარობის კანდიდატთან შეხვედრა მოსახლეობის ჩართულობითა და აქტიურობით გამოირჩეოდა, სადაც ძირითადად არსებულ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება და მათი გადაჭრისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, საჭირო პრიორიტეტები დასახეს.

ირაკლი სესიაშვილი სოფელ შალაურის ამომრჩეველს შეხვდა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თელავსა და ყვარელში, ირაკლი სესიაშვილი ამომრჩეველთან შეხვედრებს განაგრძობს. ამჯერად იგი სოფელ შალაურის N40 უბნის ამომრჩეველს შეხვდა.

შეხვედრაზე დეპუტატობის კანდიდატმა ხელისუფლების მიერ ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ სიკეთეებზე ისაუბრა.

„აღსანიშნავია ის, რომ ჯანდაცვის მიმართულებით 3 მილიარდი ლარი იხარჯება, 2015 წელს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომელიც უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობას გულისხმობს, თითოეული პაციენტის მკურნალობა დაახლოებით 94 000 დოლარი ღირს. ეს არის უნიკალური პროგრამა, რომელმაც მისცა საშუალება ადამიანებს დაემარცხებინათ ჩ ჰეპატიტი“, -განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

მაჟორიტარობის კანდიდატმა ასევე ხაზი გაუსვა განათლების სფეროში განხორციელებულ პროექტებს- სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული სასწავლო პროგრამები უმაღლეს სასწავლებლებში და სკოლის მოსწავლეებისთვის უფასო სახელმძღვანელოები.

მან ასევე ისაუბრა ქვეყნისთვის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მნიშვნელობაზე.

„ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ დღეს ვცხოვრობთ უსაფრთხო და სტაბილურ ქვეყანაში, რაც განაპირობებს ტურიზმის განვითარებას არამარტო კახეთში, არამედ მთელს საქართველოში“, – აღნიშნა მან.

„ქართული ოცნების“ კანდიდატმა მოსახლეობის მხრიდან სოფელში არსებული პრობლემები მოისმინა და მათი გადაჭრის გზები დასახა. ®

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი“ N15)

მხოლოდ ახლაღა გახდა ცნობილი ბრიტანელი მეცნიერებისთვის, რომ ართური უცხოელი ყოფილა; აგრეთვე, ნაპოვნია ადგილი, სადაც კამელოტის ციხე-სიმაგრე იდგა. ახლა გასარკვევი ის გახდა, რა კავშირი ჰქონდა სამეფო კარის ჯადოქარს უცხოეთიდან ჩამოსულ ართურთან. ლეგენდა მეფე ართურზე აჩენს სხვა კითხვასაც, მათ შორის უპირველესს: მართლა იყო იგი გრაალის (რადგან გვარიანი არეულობა შემოაქვს) მცველი?

რაც შეეხება „გრაალს“, რომელსაც კაცობრიობა უშედეგოდ ეძებს, ქართული ანბანით იშიფრება, ისევე, როგორც „იბერია“, თუმცა ამის შესახებ გაზეთის მომდევნო ნომერში ვთქვათ ორიოდე, მაგრამ საგულისხმო სიტყვა.

ის, რომ ხალიბები (იგივე ხალდები) უძველეს კოლხურ ტომს წარმოადგენდნენ, ამას ადასტურებს ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ცნობები. ხალიბები ძვ. წ. II ათასწლეულიდან ცხოვრობდნენ ანატოლიის მთიანეთში, სადაც პელაზგების, ანუ პროტოქართველური კუნძულ ევბეადან მოვიდნენ.

ამ ცნობების მიხედვით, ისინი ძირითად კოლხურ ტომებთან (ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მაკროკეფალები და სხვა) გარემოცვაში იხსენიებიან. აღსანიშნავია, რომ VII ს. სომხური „გეოგრაფია“ ხალიბებს კოლხურ ტომ ჭანებთან აიგივებს.

მკვლევარები კუნძულ ევბეის ძველ სახელს — მაკრისს, მაკრონების სახელწოდებას უკავშირებენ; თავის მხრივ, მეცნიერები „მაკრონებს“ „მარგალებთან“ აიგივებენ, მიზეზი კი ის არის, რომ კუნძულ ევბეაზე (ანუ მაკრისზე) უმთავრესად პელაზგები ცხოვრობდნენ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბევრი მეცნიერი ასკვნის, რომ ხალიბები ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ლტოლვილი პელაზგები არიან, რომლებიც სხვა პელაზგური ტომების მსგავსად, აღმოსავლეთით, პროპონტიდის (მარმარილოს ზღვა) გავლით შავი ზღვის სანაპიროებისკენ გადმოიხიზნნენ და ძველთაგანვე დამკვიდრებული ნათესავი ტომების გვერდზე დაბინავდნენ.

იმ დროისათვის რკინის ათვისება უდიდესი ტექნოლოგიური რევოლუცია იყო. ძველად, არანაირი ღუმელი არ იძლეოდა რკინის გამოდნობისთვის საჭირო ტემპერატურას (1530 გრადუსი), მიღებული ლითონი წარმოადგენდა ცომისებურ მასის ნასვრეტებიან გუნდას წიდის ნარევით. ხალიბებმა იცოდნენ როგორ გამოენთავისუფლებინათ „გუნდა“ წიდისგან და მიეღოთ მყარი, მცირენახშირბადიანი რკინა. რკინის მეტალურგია — ეს იყო უდიდესი საიდუმლო. თითქმის 5 საუკუნე მალავდნენ ხალიბები ლითონის გამოდნობის საიდუმლოს ისევე, როგორც უკვე ჩვენს თანამედროვეობაში რაჭველი „რკინის კაცები“ რაჭაში.

ანტიკურ წყაროებში მრავლად მოიპოვება ცნობები ხალიბებზე, როგორც რკინის დამუშავებით განთქმულ ტომზე. ბერძნულ-რომაული წყაროები პირდაპირ აღიარებენ რომ ლითონის აღმოჩენა და მისი დამუშავება ხალიბების დამსახურებაა.

ვირგილიუსის ცნობით „ხალიბები — ტომი პონტოში, რკინა რომ აღმოაჩინა“; არიანე ნიკომედიელის ცნობით „ხალიბები, პირველნი ადამიანთა შორის, რომელთაც მიეცათ შემთხვევა ლითონის დამუშავებისა“; პლინიუსის ცნობით „ხალიბები — ერთ-ერთი პირველთაგანნი ვინც მელითონეობას ჩაუყარეს საფუძველი“ ესქილე — „ხალიბები — ოდითგანვე რკინის მჭედელნი“ და სხვანი.

ბერძნებმა რკინას მისი აღმომჩენი ხალხის სახელი უწოდეს „ხალიუფს“. მეცნიერთა აზრით, შესაძლებელია, ტერმინი „ხალიუფს“ (რკინა) კი არ მომდინარეობდეს ხალიბების სახელიდან, არამედ თვითონ „ხალიბი“ იყოს განვითარებული ამ ტერმინიდან, რკინის დამუშავებით განთქმული ტომების, ხალდების აღსანიშნავად.

საინტერესოა ფსევდო-არისტოტელეს ცნობა ხალიბების მიერ რკინის დამუშავების შესახებ, რომელიც თავის ნაწარმოებში „საოცარ ამბავთა შესახებ“ აქვს აღწერილი: „ამბობენ, რომ განსაკუთრებულია ხალიბური და ამისური რკინის წარმოება. ის დაკავშირებულია იმ ქვიშასთან, რომელიც მდინარეებს ჩამოაქვს. ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ ქვიშას, უბრალოდ გარეცხილს, ღუმელში ახურებენ. სხვების აზრით, ის, რაც რჩება გარეცხვისა და გახურების შემდეგ, მასში დებენ ე. წ ცეცხლგამძლე ქვას, რაც ამ ქვეყანაში ბევრია. ეს რკინა ბევრად უკეთესია სხვაზე, მაგრამ იგი ერთ ღუმელში რომ არ დნებოდეს, როგორც ჩანს, არაფრით განსხვავდებოდა ვერცხლისგან. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს რკინაა რომ არ იჟანგება, მაგრამ ის ბლომად არ მოიპოვება.“

ესქილე „მიჯაჭვულ პრომეთეში“ ხალიბებს წარმოგვიდგენს რკინის დამმუშავებელ, მკაცრ და სახიფათო ხალხად „ოდითგანვე რკინის მჭედელნი მოსახლეობენ ქალიბები. ერიდე მათ, გულსატკენია და სტუმართა უკარებელნი“.

ქსენოფონტე „ანაბასისში“ საგანგებოდ ჩერდება ხალიბებზე და ვრცლად მოგვითხრობს მათ შესახებ. მისი ცნობით, ხალიბები უმამაცესნი იყვნენ იმ ტომებს შორის რომელთა მიწა-წყალზე ელინებმა გაიარეს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათ შუბებს მხოლოდ ერთი პირი ჰქონდა, რითიც სურს განასხვავოს ხალიბების შუბი (5 წყრთა) სხვებისგან. ამასთანავე აღნიშნავს, რომ ხალიბები მაშინ მღეროდნენ და როკავდნენ, როდესაც მტერი უყურებდა და ა.შ

ჰეროდოტე, სხვადასხვა ხალხთა შეიარაღების აღწერისას ცალკე ჰყოფს ხალიბების შეიარაღებას და ხაზს უსვამს, რომ ისინი სხვა ტომებისგან გამოირჩეოდნენ იმით, რომ სპილენძის მუზარადს ატარებდნენ. ეს იმ დროს, როდესაც სხვა ხალხებს ხის ან რაიმე მასალისგან დაწნული მუზარადი ჰქონდათ. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „გამანადგურებელ ხალიბურ მახვილზე“. ამასთან დაკავშირებით სქოლიასტი გვიხსნის, რომ ხალიბებს საუკუთესო რკინა აქვთ, რადგან პირველად ხალიბებმა აღმოაჩინეს რკინა...

„გეორგიკების“ სქოლიასტის განმარტებით, ხალიბებს სახელი ეწოდათ ხალიბიუმიდან, ევბეის სოფლიდან, რადგან აქედან გადასახლდნენ. ამ ცნობაზე დაყრდნობით, ხალიბიუმის გარდა ხალიბების ევბეასთან კავშირზე მეტყველებს ამ კუნძულის მთავარი ქალაქის სახელწოდება „ქალკიდა“ (ხალკიდა, ჩჰალკის), რომელიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, ის იყო შუა საბერძნეთზე ბატონობის ბურჯიო...

ხალიბების ქანდაკება

ხალიბები არგონავტების რუკაზე

ქალდე(ა) — მთვარის შუმერული ქალღმერთი ...

ხ(ქ)ალდე — სოფელი კალას თემში...

ისიც საინტერესოა, რა უნდოდა მაინც და მაინც სვანეთის ამ, მთებში ჩაკარგული ხეობის სოფლისგან, ხ(ქ)ალდესგან, რუსეთის იპერიას...

რუსებმა რამდენიმე სამხედრო ექსპედიცია მოაწყეს ერთი მცირე, მაგრამ ურჩი სვანური სოფლის დასასჯელად, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, დანაკარგი კი ბლომად ჰქონდათ. რადგან სოფლის აღება, რომელიც მხოლოდ 40 დამცველისგან შედგებოდა, შეუძლებელი აღმოჩნდა, რუსებმა ხეობაში უზარმაზარი ჯარი და არტილერია შეიყვანეს. 7 დღის მანძილზე ებრძოდა რუსეთის ჯარს 40 ხ(ქ)ალდელი სვანი, ზარბაზნებმაც ვერ მოცელეს კოშკები... როდესაც ტყვიაწამალი გამოელიათ ხალდეს დამცველებს, მაშინღა დაიხიეს მთებისკენ და მხოლოდ მერეღა შეძლეს ხალდეს 16-ივე კოშკის აფეთქება რუსებმა... ზოგი კოშკი მიწაზე დაცემის შემდეგაც არ დაირღვა, მთლიანად მოცელილი ეგდო წლების მანძილზე... სოფელს სახელიც წაერთვა და იქ დასახლებაც აიკრძალა...

ასევე გაასწორა მიწასთან რუსეთის იმპერიამ „ედენას ტევრის“ სოფელი ფუტიეთი...

„სვანების ბერების მონასტერი“ — ცოტა უცნაურად კი ხვდება სმენას, მაგრამ ასე ერქვა მონასტერს, რომლის შესახებ მხოლოდ ზეპირი გადმოცემებია შემონახული. არავინ იცის ვის სახელზე, როდის, ვინ გააშენა მონასტერი რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფელ ფუტიეთის შემოგარენში, „სვანების უბანში“, მდინარე ჭალას მარცხენა ნაპირზე, მთის ძირში, ტყიან და შემაღლებულ ადგილზე. მონასტრის ტაძარი, რომლის საძირკველიც კარგად განირჩევა, ყველა სხვა ნაგებობაზე მაღლაა, თუმცა ყველაფერი მიწითაა დაფარული.

(გაგრძელება იქნება)

მოგზაურობა თბილისში

საარჩევნო კამპანიამ, რომელსაც დიდუბის რაიონში ვაწარმოებ, როგორც უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, სამეურნეო დაგეგმარების მხრივ უამრავი პრობლემის წინაშე დამაყენა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში დამხვდა ზაჰესი, რომელიც ფორმალურად ეკუთვნის დედაქალაქს, პრაქტიკულად კი მას მოწყვეტილია. მთავარ მაგისტრალთან დამაკავშირებელი ხიდი, რომელიც ჯერ კიდევ 2015 წლის თებერვალში უნდა აღმდგარიყო, დღემდე არ არის რეაბილიტირებული, რის გამოც მოსახლეობა გადაადგილების კუთხით სერიოზულ დისკომფორტს განიცდის, რადგან შემოვლითი გზით სარგებლობა რამოდენიმე კილომეტრის გავლას საჭიროებს. მოსახლეობისთვის მიცემული დანაპირები მერიას კარსმომდგარი არჩევნების წინ გაახსენდა და რამოდენიმე ტრაქტორი მოუყენებია ხიდთან, როგორც ამას დღეს მთელი ქალაქის მაშტაბით აქვს ადგილი - გადათხრილია თბილისი, დაწყებულია სარეაბილიტაციო სამუშაოების ბუმი, მაშინ როდესაც ეს პროცესი 4 წლის მანძილზე ეტაპობრივად უნდა წარმოებულიყო. წლების მანძილზე ზაჰესის მოსახლეობას გადაადგილება შემოვლითი გზით უწევს, რაც დაკავშირებულია ზედმეტ მატერიალურ ხარჯებთან, ასევე ქალაქის სხვა უბნებთან დაკავშირებას დიდი დრო მიაქვს. ქალაქის მერიას კი ამის შესახებ მხოლოდ ახლა გაახსენდა. გარდა იმისა, რომ ზაჰესი მოწყვეტილია მთავარ მაგისტრალს, ასევე ძნელია მისი აღქმა, როგორც დედაქალაქის ერთ-ერთი უბნის. ის ქალაქიდან მოშორებულ, მიყრუებულ სოფლის დასახლებას გავს. არ არის გაკეთებული ბარდიურები, არ არსებობს დასასვენებლი პარკი, არ არის ახალგაზრდობისთვის გასართობი ადგილები - კაფე-ბარები, რესტორანი. ერთადერთი სტადიონია და ისიც განათების გარეშე. ზოგადად ზაჰესში ძალინ უხარისხო, თალხი განათებაა. აუცილებელია ამ ადგილის სათანადო კეთილმოწყობა, უპირველესად სრულფასოვანი კომუნიკაციის აღდგენა დედაქალაქთან, რადგან სამარშრუტო და ავტობუსის ხაზი დღეს თითზე ჩამოსათვლელ მარშრუტებს მოიცავს, მაშინ როდესაც ის უფრო მეტად უნდა დაიტვირთოს.

მიუღებელი და გადასახედია ზოგიერთი ქუჩის სახელწოდება. კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა დასახლებას ქუჩის სახელწოდებაც კი არ აქვს. მისამართში მითითებულია დაბა ზაჰესი გამგეობის შენობა(დევნილები) და სპეცგეო(დევნილები). კურიოზულია თვით მშვიდობის ქუჩის, როგორც ჩიხის ერთდროულად და შესახვევის არსებობა, იგივე კასკადის ქუჩა და კასკადის შესახვევი, ანდრონიკაშვილის ქუჩა და ანდრონიკაშვილის ქუჩის შესახვევი. 20 -იან წლებში, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ლენინის ძეგლი დაიდგა ზაჰესში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ მოიხსნა. ძეგლის დადგმით თითქოს დიდი პატივი მიაგეს ზაჰესის მოსახლეობას, რომელიც შემდგომ ზარ-ზეიმით დაანგრიეს და დღეს თავისუფალ საქართველოში ქართული სულიერების მატარებელი და გამომხატველი ერთი ძეგლის ღირსი ვერ გახდა ზაჰესის მოსახლეობა. რაც შეეხება ძეგლებს, ჩემი ნება, რომ იყოს გადავიტანდი იმ ადგილას, სადაც ის თავის ჟღერადობას შეიძენდა, როგორც დავაბრუნებდი დავით აღმაშენებლის ძეგლს ავტორის მიერ შერჩეულ ადგილას. უზარმაზარ ველოსიპედს, რომელმაც დავითის ძეგლი ჩაანაცვლა, გადავიტანდი იგივე ზაჰესში და ბავშვებს გავუკეთებდი ველო - ბილიკს და ეს იქნებოდა მისი სიმბოლო. ასევე ვთხოვდი თბილისის მერს დავით ნარმანიას გამონახოს სათანადო სახსრები, რომელიც დარწმუნებული ვარ არ დააქცევს ქალაქის ბიუჯეტს და ამავდროულად გააკეთილშობილებს ზაჰესის იერ-სახეს, რათა ლამაზი დიზაინით შეიცვალოს ძველი, უსახური ღობეები, რომელიც ზაჰესის ბუნებას ჰარმონიულად შეერწმება და ამასთნავე ზაჰესის ძირძველი კერძო მოსახლეობისთვის დიდი მადლი გაკეთდება. ასევე დაიდგას ალუმინის ბუნკერები, განათების ბოძებზე მიმაგრებულ იქნას პლასტმასის ურნები, ავტობუსების გაჩერებებზე გაკეთდეს მოსაცდელი ადგილები კეთილმოწყობილი დასაჯდომებით, რომლებიც იქნება სათანადოდ გადახურული.

ერთი მოსვლით დანახულმა პრობლემებმა დაბადა კითხვა?! ნუთუ ამას ვერ ხედავენ ჩინოვნიკები? ნებისმიერმა პარტიამ მიიწეროს ამის გაკეთება თავის თავზე, ოღონდ გასაკეთებელი გაკეთდეს, მე მოხარული ვიქნები თუ ჩემი ხმა თქვენამდე მოვა და ბოლომდე ვიქნები ხალხის სურვილების მატარებელი, რადგან ხალხის სამსახურში ყოფნა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა თითოეული ჩვენთაგანის ვალია.

კასკადის ქუჩაზე მოუწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემა, რომელიც ღიაა წლების მანძილზე, შიგ ფეკალური მასები ტივტივებენ. უბანში გაუსაძლისი სუნი დგას დ მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე ექმნება. კანალიზაციის მოწესრიგების შესახებ არაერთი თხოვნის მიუხედავად ადგილობრივ მუნიციპალიტეტში განმარტეს, რომ ეს დიდ სახსრებთანაა დაკავშირებული და ამ ეტაპზე კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება შეუძლებელია.

ზაჰესის დევნილთა ჩასახლებაში ლიფტის დამონტაჟების პრობლემაა, (რომელივ ჯდება 30000 ლარი) ამხანაგობა" მერცხალმა "მიმართა გამგეობას დაფინანსებასთან დაკავშირებით, თუმცა გამგეობამ თანხის გადახდაზე უარი განუცხადა, რადგან ამ ეტაპზე ბიუჯეტში ამდენი თანხა არ არის.

ამასთანავე, სამი დღეა დევნილებს წყალი არ მიეწოდებათ. მოსახლეობაში გაჩნდა სამართლიანი ეჭვი, რომ ეს წინა საარჩევნო ხრიკი და არ გამოვრიცხავენ, რომ წყალი საარჩევნო დივიდენტების მოპოვების მსურველმა ხელოვნურად გადაკეტა. ანუ მან, ვისაც წყლის მიწოდება ხელეწიფება.

ზაჰესს დღემდე დამაკავშირებელი ხიდი არა აქვს, მოსახლოების ნაწილს ფეკალურ მასებში უწევს ცხოვრება იმ ფონზე, როდესაც თბილისის ცენტრალური უბნები მშენებლობებით უკიდურესად გადატვირთულია, რომელთა წყალობით განადგურდა ქალაქის იერ-სახე, დამახინჯდა დედაქალაქის კოლორიტული უბნები. არ მიმდინარეობს ქალაქის კეთილმოწყობისთვის განკუთვნილი რესურსის თანაბარი გადანაწილება, რომელიც ზაჰესის მგავსს დასახლებებს ნორმალურ ინფრასტრუქტურას შეუქმნიდა. ამის სანაცვლოდ მთელი ყურადღება ქალაქის ცენტრალური უბნებისკენაა მიმართული, სადაც ყოვლად დაუშვებელი მშენებლობებია გაჩაღებული, ისევ და ისევ ფინანსური დაინტერსების გამო. ადგილი აქვს ძველ თბილიში მცხოვრები მოსახლეობის სიდუხჭირით სპეკულაციას. გარკვეული თანხის შეთავაზების შემთხვევაში მოქალაქე თანხმდება გაყიდოს საკუთრება და გზა დაუთმოს დანაშაულებრივ მშენებლობებს.

9 წლის წინ ზაჰესის ტერიტორიაზე განლაგებული ჰესი 41 მილიონ დოლარად გასხვისდა. დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი სტრატეგიული ობიექტის შესყიდვის მსურველს ხელშეკრულებაში ერთ-ერთ პირობად აღნიშნული უნდა ქონოდა ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. აუცილებელია გასაჯაროვდეს უხცოელ ინვესტორთან დადებული ხელშეკრულების პირობები. იმ შემთხვევაში თუ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საკითხი არ იყო ერთ-ერთ პუნქტად განხილული, ჰესის გასხივისების მიზანშეწონილობა საეჭვო ელფერს იძენს. სახელმწიფო გამომდინარე მისი მწირე ბიუჯეტიდან ვალდებული იყო ინვესტორის წინეშე ჰესის გასსხვისების სანაცვლოდ ზაჰესის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტრული განახლება მოეთხოვა. თუ სახელმწიფოს მხრიდან ასეთ მოთხოვნას ადგილი ქონდა და ინვესტორმა თავის მხრივ დადებული პირობა არ შეასრულა, სახელმწიფომ კატეგორიულად უნდა მოითხოვოს ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაუყონებლივი შესრულება.

ქალაქის პერიფერიაზე მიტოვებული დასახლება, რომელიც წლების მანძილზე არავის ახსოვს, უკიდურესად იმედგაცრუებულია, შეხვედრისას მოსახლეობისაგან არაერთგზის მსმენია, რომ პარტიებმა დაღუპეს და შეჭამეს ქვეყანა. მუდმივად შეუსრულებელი დაპირებებით გადაღლილი ხალხი მათთან მოსულ ყველა კანდიდატს უდობლობით ეპყრობა. გულგრილობა მათი მხრიდან საკუთარ თავზე გამოვცადე, თუმცა პირისპირ საუბრის შემდეგ ჩემსა და მოსახლეობას შორის აღმართული ჩინური კედელი ნაწილობრივ დაირღვა. საგანგაშოა ადამიანებში დასადგურებული უნდობლობა, რომელიც ისევ და ისევ მავანის წისქვილზე ასხავს წყალს და ხელ-ფეხს უხსნის მის თვითნებობას, რადგან სიდუხჭირით

დამძიმებული, დაბეჩავებული მოსახლეობა სიფხიზლეს კარგავს და საკუთარი ინტერესების დაცვისათვის უუნარო ხდება

გამაოცა ზაჰესის ახალმა თაობამ. უაღრესად ნიჭიერი, ალალი ბავშვები, რომლებიც იმსახურებენ ღირსეულ მომავალს. დღეს, ერთადერთ სტადიონზე, რომლის გარდა სხვა გასართობი არ გააჩნიათ, მათთვის განათების გასაკეთებლად სახსერები ვერ მოინ.ახა

მე, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, მოვუწოდებ მერიას უკანონო მშენებლობებისთვის ნებართვის გაცემის ნაცვლად, ზაჰესს შეუსრულოს დანაპირები და უმოკლეს ხანში განახორციელოს ცენტალურ მაგისტრალთან დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია. ასევე მოაგვაროს საკანალიზაციო სისტემა, განათების პრობლემა და რაც მთავარია ეკონომიკის სამინისტრომ გაასაჯაროვოს ჰესის გასხვისების დროს დადებული ხელშეკრულების პირობები, იქნებ ამ შემთხვევაში მაინც ზაჰესის მოსახლეობას მიეცეს საშუალება იგრძნოს თავი დედაქალაქის და

ზოგადად ქვეყნის სრულფასოვან მაცხოვრებლად.

დიღმის მე-2 მიკრორაიონში მდებერე 187-ე საჯარო სკოლა, სადაც 700 მოსწავლე დადიოდა, სააკაშვილის მმართველობის დროს გაიყიდა. თავის დროზე სკოლა მსოფლიო ბანკმა გაარემონტო და დღეს ის 10 წლის ვადით „თიბისი“ ბანკშია დაგირავებული. შედეგად, მიკრორაიონი სკოლის გარეშე დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ გასხვისების დეტალებით შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა დაინტერესდნენ, რადგან გასხვისების პროცესში გადაცდომის ფაქტები დაფიქსირდა, საქმე მხოლოდ მოკვლევის დონეზე დარჩა და გამოძიება დღემდე არ დაწყებულა. პედაგოგებმა მიმართეს ყველა მოქმედ თანამდებობის პირს, ვისაც ხელეწიფებოდა სკოლის აღდგენის საკითხზე ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ დღემდე ეს საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. მოზარდები მოწყდნენ სასწავლო პროცესს, მათთვის ჩვეულ გარემოს, მეგობრებს, საყვარელ პედაგოგებს, რაც დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ სტრესთან. მათი სხვა სკოლებში გადაყვანა ახალ გარემოსთან შეგუების საკმაოდ მტკივნეულ პროცესს უკავშირდება, რომლის გადალახვაც მოზარდს გარკვეული დროის მანძილზე უწევს, რაც თავისთავად ურყოფითად მოქმედებს ცოდნის მიღებასა და სასწავლო მასალის ათვისებაზე. ამასთანავე ათეულობით პედაგოგი უმუშევარი დარჩა.

აუციელებელია 187-ე საჯარო სკოლის გასხვისების საქმეზე გამოძიების დაწყება. განათლების სამინისტრო ვალდებულია მაქსიმალურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა სკოლა დაუბრუნდეს თავის მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

რაც შეეხება კომპაქტურად დასახლებულ დევნილებს, ბელიაშვილის ქუჩაზე საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია, გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები, მასიური უმუშევრობა. ძნელია ოჯახის გამოკვება, კომუნალური გადასახდების გადახდა. გამრიცხველიანობის შემდეგ „თელასმა“ ერთ-ერთ ოჯახს, რომელიც მიმდინარე დენის გადასახადს გაჭირვებით უმკლავდებოდა, საკმაოდ სოლიდური თანხა დაარიცხა. არაგადამხდელუნარიან აბონენტს დენის მიწოდება შეუწყდა. სახელმწიფო ვალდებულია მოქალაქეს, რომელსაც მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი, გაუწიოს შუამდგომლობა და კერძო კომპანიასთან წარმოქმნილი ასეთი პრობლემის შემთხვევაში დაიცვას მისი ინტერესები. არ არსებობს არანაირი მექანიზმი მსგავსი შუამდგომლობისა, რის გამოც სოციალურად დაუცველი დევნილი მოქალაქე კერძო კომპანიასთან პირისპირ რჩება და იჩაგრება.

აღნიშნულზე მივმართე „თელასის“ საპრეტენზიო განყოფილებას. საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში სემეკსა და სასამართლოს მივმართავ.

დასახლებაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებში უწევს ყოფნა. ბავშვებისთვის განკუთვნილ ოთახში კარ-ფანჯარა არ არის. შესაბამის ორგანოებში ვამზადებ შუამდგომლობას, რათა უმოლკლეს ვადებშე მოხერხდეს საჭირო დახმარების აღმოჩენა.

ანალოგიური მდგომარეობა დამხვდა თაავდადებულის ქუჩაზე მცხოვრებ დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. მოუწესრიგებელია მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომელიც ერთი ავტობუსის იმედადაა დარჩენილი. რაც შეეხება დიღმის მასივში „ტურბაზაში“ ჩასახლებულ დევნილებს, დასახლებაში გაზიფიკაციის პრობლემაა. მოსახლეობას ზამთრის პერიოდში ჭარბი რაოდენობით უწევს ელექტროენერგიის მოხმარება, რისი გადახდის საშუალებაც არა გააჩნია. მოუწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემა. ძლიერი წვიმის დროს წარმოქმნილი ნიაღვრები მოსახლეობას სახლში უვარდება. ტალახიანდება გზა და ფეხით მოსიარულეებისთვის ყოველი წვიმის შემდეგ გადაადგილება შეუძლებელი ხდება. „ტურბაზაში“ მცხოვრებ დევნილებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართები დღემდე დაკანონებული არა აქვთ და ჰაერში არიან გამოკიდებულნი.

კომპაქტურ დასახლებებში არსებულ მძიმე სოციალურ და ინფრასტრუქრტურულ მდგომარეობასთან ერთად დამხვდა პრობლემა, რომლის არსებობა სიმართლე გითხრათ ძნელი წარმოსადგენი იყო ჩემთვის. ხალხი, რომელსაც იძულებით დაატოვებინეს საკუთარი კერა, დღეს, თავის მიწა-წყალს მოწყდა არა მარტო ფიზიკურად, არამედ ცნობიერად და ეს არის ეროვნული ტრაგედია ჩვენი თანამედროვეობისა. ადამიანები იმდენად ჩაითრიეს სიდუხჭირის მორევში, იმდენად დაარეტიანეს უმუშევრობით, ბანკის სესხებით, გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობებით, რომ არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის სახელმწიოფებრივი მნიშვნელობის საკითხებზე, არამედ საკუთარ კერაზე, საკუთარ მიწა-წყლაზე, სადაც დაიბადნენ, გაიზარდნენ და დატოვეს წინაპრების საფლავები, საუბარი აღარ აინტერესებთ. შეხვედრისას ერთ-ერთმა დევნილმა, რომელმაც დევნილთა დასახლების მამასახლისად წარმომიდგინა თავი, მისაყვეურა, რომ საუბარი დავიწყე საკითხებით, რომელიც შორსაა ყოფითი პრობლემებისაგან, რომ ხალხს უჭირს და მისთვის სტრატეგიული საკითხები, ტერიტორიული მთლინობის პრობლემა და ა.შ. მეორეხარისხოვანია. დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ნაკვეთების დაკანონება კი დღეს ბევრად მნიშვნელოვანი, ვიდრე საკუთრი მიწა-წყლის დაბრუნებაზე ფიქრი.

ეს არის შედეგი ხელისუფლებაში მოსული პოლიკიტიკური სპეკულანტების მიერ საკუთარი მოსახლეობის მისამართით წარმოებული სოციალური, ეკონომიკური და რაც მთავარია ფსიქოლოგიური ძალადობისა. დანაშაული მათი, ვინც გაიყიდა და არ ეკუთვნის ხალხსა და ქვეყანას, მეტიც, არ ეკუთვნის საკუთარ თავს. წლების მანძილზე განხორციელებულმა უგუნურმა, ანტისახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ საზოგადოებაში საყოველთაო უიმედობა დათესა. ადამიანებს დააკარგვინებს რწმენა უკეთესი მომავლის. მიმდინარეობს მოსახლეობის სოციალური პრობლემებით ზომბირება და დამონება.

ამ ფონზე ძნელია გაამტყუნო ხალხი, რომელიც თვითან თვემდე 45 ლარიან შემწეობას ელოდება. სასაცილოა დევნილთა დახმარების თანხა, რომელიც საარსებო მინიმუმს ვერ უტოლდება. ოჯახებს, რომლებიც უმუშევართა მრავალრიცხოვან კატეგორიას განეკუთვნებიან, წინასწარ გამოაქვთ დევნილის დახმარება, ხოლო ბანკი სახელმწიფოს მხრიდან მიგდებულ კაპიკებზე პროცენტს უქვითავს. მეტიც, ბოლო ორი თვეა, რაც ბანკი მეხუთე თვის დახმარებას წინასწარ აღარ გასცემს იმ მოტივით, რომ სესხი მთლიანად უნდა დაიფაროს. მაშინ როგორ უნდა მოიქცეს დევნილი, რომელსაც ამის გარდა სხვა საარსებო წყარო არ გააჩნია? უსამართლობა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვხდება აღმაშფოთებელია. თბილისში „ოგზაურობამ დატოვა განცდა იმისა, რომ საქართველოს დიდი დეპრესიის დრო დაუდგა, როგორც ეს 20-30 წლების ამერიკას გადახდა თავზე. მაგრამ მიუხედავად გაჭირვებისა, ჩემსა და დევნილებს შორის გალღვა ყინული და ვიგრძენი, რომ შევძელი მიმეღწია მათ გულებამდე. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ მთავარი - ყოფითის დალაგება ცნობიერების დალაგებით იწყება. სახელმწიფო აზროვნება ეს არის ჩვენი ერთადერთი გამოსავალი ამ ურთულესს ვითარებაში. ამიტომ ხელისუფლებამ, მთავრობამ, პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა უნდა მიმართონ ძალისხმევა ამ აზროვნების ჩამოყალიბებასა და პოპულარიზაციისაკენ. საქართველოს გამთლიანების საკითხი სისტემატურად უნდა ჟღერდეს საპარლამენტო ტრიბუნიდან, საეთერო სივრციდან, პრესიდან. ეს უნდა იყოს სახელწიფოს ნომერ პირველი საზრუნავი, ნომერ პირველი მიზანი, ყოველდღე ერთმანეთისთვის შეხსენება იმისა, რომ საქართველოს დასათმობი მიწები არა აქვს. ნაცვლად ამისა ბოლო მოწვევის პარლამენტში უთიერთბარლდებებსა და პოლიტიკურ კინკალობას მოანდომეს დრო, რომელიც საბოლოოდ კოჰაბიტაციური გარიგებით დაგვირგვინდა, ხოლო რიხიანი დაპირებები სიტყვაზე დარჩა. ხალხის უნდობლობა ხელისუფლებისადმი გაიზარდა და წარმოქმნა ბარიერი, რომლის გადალახვა დღეს ერთი შეხედვით ძალიან რთულია. საზოგადოების ინტერესებზე აგებული სწორი სახელმწიფო იდელოგიის დანერგვა არის შესაძლებლობა ხელისულებასა და საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენისა, რომელიც აპათიიდან გამოიყვანს ხალხს და მაშინ თავად საზოგადოება აქტიურად ჩაერთვება და დაეხმარება ხელისუფლებას მთავარი გამოწვევების გადალახვაში.

დღეს წამყვან პოლიტიკურ პარტიებს ყავთ თავის მყარი და სტაბილური ელექტორატი, ამიტომ მნიშვნელოვნია თქვენი აქტივობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტორატი გადაწყვეტს არჩევნების შედეგებს, რომელიც ამომრჩევლის დაბალი აქტივობის გამო არ იქნებ ხალხის არჩევანისა და ნების გამომ-

ხატველი. ამიტომ, გთხოვთ გაეცანით ყველა კანდიდატისა თუ პარტიის პროგრამას, გამოიტანეთ ობიექტური დასკვნა და მიდით საარჩევნო ურნებთან, რათა აირჩიოთ ღირსეული მომავალი, სადაც ზნეობა და მამულიშვილობა იქნება უზენაესი!!!

ზურაბ ჩიქოვანი
დიდუბის რაიონის
უპარტიო დამოუკიდებელი
მაჟორიტარი დეპუტატობის
კანდიდატი

®

მოიდა, ჯაზი!!! – ანუ რა ხდება ქობულეთის სანაპიროზე?

მიიწურა საზაფხულო სეზონი და ამოიწურა უკმაყოფილო დამსვენელების წუწუნის თემაც...

იმათი წუწუნი მესმის და გავიგე, ვინც დასვენება ვერ მოახერხა და ივლისის და აგვისტოს ხვატს გმირულად გაუმკლავდა დედაქალაქში... თუმცა, დაუსვენებელი და გაუგრილებელი ადამიანების ხმა დასვენებულების ომახიანმა შემახილებმა გადაფარეს: ზოგს სანაპირო არ მოსწონდა, ზოგს ფასები, ზოგს მუსიკა...

აგვისტოს ბოლოს განსაკუთრებით ხშირად იდებოდა ქობულეთის სანაპიროს ერთი ფოტო, კომენტარებით, განხილვებით, ლანძღვით... ფოტოზე მართლაც ძალიან ბინძური სანაპირო ჩანდა, უამრავი ნაგავით სავსე... მაგრამ, მე თვალში შეზლონგებზე წამოწოლილი ადამიანები მომხვდნენ, რომლებიც ამ ნაგავს შორის, მშვიდად და კომფორტულად ირუჯებოდნენ... მართალია, მე არ მახსოვდა ქობულეთი ასეთი ბინძური, მაგრამ, სანამ ჩემი თვალით არ ვნახავდი, ხმა არ გამიღია...

ჩავედი თუ არა ქობულეთში, დილის 5 საათზევე სანაპიროს მივაშურე... ის-ის იყო თენდებოდა... ჯერ ჭაღარათმიანი ქალბატონი დავლანდე, რომელიც ისე სწრაფად ალაგებდა, რომ თვალის მიდევნებაც გამიჭირდა... ვცადე, გასაუბრება... მხოლოდ იმის გარკვევა მოვახერხე, რომ 160 ლარად, ყოველ სისხამ დილით გამოდის სანაპიროს დასასუფთავებლად და ნაგვის გადასაყრელად...

აი, ნორიკა ძია უფრო დიდ ტერიტორიას ალაგებს და ერთი დასვენების უფლებასაც აძლევს თავს... ნორიკა ძია 35 წელია თბილისში ცხოვრობს, მაგრამ, მარტოხელა მამა გაუხდა შეუძლოდ და ჩამოვიდა რომ მოუაროს, თან შრომობს... მართალია, მხოლოდ 280 ლარს უხდიან, მაგრამ უმუშევრობას სჯობს... დილით 5.30 ზე გამოდის სანაპიროს დასალაგებლად, ხან 9 საათზე რჩება მუშაობას, ხან უფრო გვიან... ის დღე ახსოვს, როცა სანაპირო ასე ბინძური იყო და ამდენი ფოტო დაიდო ინტერნეტში... ახსოვს იმიტომ, რომ იმ დღეს ყველაზე მეტი იმუშავა... წინა ღამით წვიმდა, შტორმი იყო და სანაპიროზე დაგროვილ ნაგავს ზღვამ დაუმატა გამორიყული ნაგავი...

ოჰო, ანუ, ის ფოტოები ნაშტორმალ სანაპიროს გადაუღეთ და შეზლონგზე წამოწექით?

თქვენთვის საბედნიეროდ, ნორიკა ძიას არც ფოტოაპარატი დააქვს სანაპიროს დალაგებისას და არც აიფონი... თორემ დადებდა ფოტოებს, როგორ ყრით საზამთროს და ნესვის ნარჩენებს პირდაპირ ქვებზე, როგორ ტოვებთ ბავშვის გამოცვლილ პამპერსებს სანაპიროზე, როგორ ყრით და ტოვებთ ზღვის პირას ერთჯერად ჭიქებს, რომლებშიც ან სასმელის ნარჩენები ასხია, ან გამოყენებული პრეზერვატივები ყრია...

დილით კი, იგივე სანაპიროზე, სადაც წინა ღამით ნაგავი დაყარეთ, შვილებს გამოიყვანთ პატარა ფერადი ვედროებით და ნიჩბებით სუფთა კენჭებში სათამაშოდ... მაგრამ, დილითაც კი, მიბრუნებული არ არის ნორიკა ძია, რომ ვიღაც უკვე იწყებს სანაპიროს დაბინძურებას, ამიტომ სასწრაოდ შეზლონგზე წამოწვებით, ფეისბუქზე შეხვალთ და პოსტს ან კომენტარს დაწერთ - როგორი ბინძურია ქობულეთის სანაპირო...

ნორიკა ძია კი, თვალს გარიდებთ... მაშინაც, როცა სანაპიროს სვრით, მაშინაც, როცა სანაპიროს რყვნით, მაშინაც როცა შიშვლები ცურავთ თუ რაც ჰქვია...

განა იმიტომ არიდებს თვალს, რომ აღარაფერი უკვირს?... უკვირს, როგორ არა... უკვირს, როგორ ღლაბუცობდნენ გამთენიისას ტიტლიკანა კაცები და მიუხედავად იმისა, რომ ორი ქალბატონი გადმოვიდა ამ დროს სანაპიროზე და ხმამაღლა ლანძღავდნენ, სანამ საქმეს არ მორჩნენ, ყურიც არ ათხოვეს... უკვირს, ქალებისაც, რომლებსაც, ალბათ, სახლში ქმრები ელოდებათ... უკვირს, როგორ შეიძლება, ქალმა შვილს პამპერსი გამოუცვალოს და ეს პამპერსი სანაპიროზე დატოვოს... (და თავისებურად, მშრომელი, პატიოსანი, სოფლელი კაცის სიტყვებით განმარტავს: უკაცრავად, ბიძია, მარა, სისუფთავე მარტო ის კი არაა, ქალმა ქვედა ადგილი დეიბანოსო, ასე თუ ყველგან დაყრის და დატოვებს, ის ქალი ოჯახში რანაირად იქნება სუფთაო)... უკვირს, საზამთრო, ნესვი, დასალევი სანაპიროზე პაკეტით რომ გადმოაქვთ, ნარჩენებს თუ თავად არ ყრიან ნაგვის ბუნკერში, იგივე პაკეტში მაინც რატომ არ ათავსებენ და ისე რატომ არ ტოვებენ... უკვირს, მაგრამ, თვალს მაინც არიდებს, იმიტომ, რომ სტუმარია ის ქალიცა და კაციც და არ უნდა სტუმარმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს...

მაგრამ სტუმარი მაინც შეურაცხყოფილია... სტუმარს მაინც ვერ ასიამოვნა... ის მუსიკები აქვს ჩართული ქობულეთელს, რომელზედაც სტუმარი ცეკვავს, თუ ბორგავს, თუ ტორტმანებს... იმ სიმღერას მღერის, რომელსაც სტუმარი უკვეთავს და ვერ გაუგია, გამოფხიზლებული, ან დედაქალაქს დაბრუნებული სტუმარი რატომ უწუნებს რეპერტუარს, რა, ჯაზის სთხოვეს და არ დაუკრა?

ბავშვები ვერ დავაძინეთ ქობულეთშიო... კაი, კაცო... ბავშვების დასაძინებლად არ ჩადიან ქობულეთში დამსვენებლები, სანატორიუმი არ არის ქობულეთი... ბავშვებების დაძინება ვისაც გინდათ, ბობოყვათში მიბრძანდით, ციხისძირში, შეკვეთილში... ან თუნდაც, იყოს ქობულეთი, მაგრამ არა რესტორნის წინ, არა ბუნგალოს წინ... ცოტა უკან, ცოტა სიღრმეში... იმიტომ, რომ, იმ რესტორანსა და ბუნგალოში ისევ ის თქვენი ჩამოსული დამსვენებლები ცეკვავენ, თუ ბორგავენ, თუ ტორტმანებენ გამთენიომდე... თორემ, ქობულეთელის გამო არავინ მღერის იქ, ქობულეთელს არაფერში სჭირდება დილამდე მუსიკის მოსმენა... ქობულეთელი დაღლილია, მთელი დღე გემსახურება და ეძინება... მაგრამ, უხმოდ კეტავს ფანჯრებს, ყურში ბამბას იდებს, პირში წყალს იგუბებს და იძინებს...

ბავშვები ვერ დაგვიძინებიაო... ჰო, ბავშვებმა მალე უნდა დაიძინონ, რომ დედიკო და მამიკო ისევ ბუნგალოში გადავიდნენ, თორემ, რა არის დასვენება დილამდე მუსიკის ფონზე დალევის გარეშე, რა არის დასვენება, თუ ბუნგალოს დაკეტვის შემდეგ, ლუდს და ხილს არ გადაიტან სანაპიროზე, რომ ახლა იქ გააგრძელო ღრეობა...

ფასები არ მოსწონთ კიდევ დამსვენებლებს ქობულეთური... მე კი გეუბნებით, რომ დაბალი ფასებია ძალიან ქობულეთში... მაინც რასთან შედარებითაა მაღალი ფასები? თბილისში, სახლში რომ იკვევებით, იმასთან შედარებით რომ ქობულეთის რესტორანში მეტი დაგიჯდებათ სადილი, ამაზე ვსაუბრობთ?

აბა, ბუნგალოში რომ სასმელი რამდენჯერმე ძვირი ღირს, ვიდრე მაღაზიაშია, ამაზე? და ქობულეთელი რომ ჩამოვიდეს აქ, შარდენზე ნაკლებ ფასად დალევს მარტინს, თუ როგორ არის საქმე?

სანაპიროს გადაღმა, ჩაყოლებულია საოჯახო სამზარეულოები, სადაც ძალიან იაფად იკვებები... ყველაზე მეტად „პონტო“ მომეწონა და ის რამდენიმე დღე, რაც ქობულეთში გახლდით, სწორედ იქ ვსადილობდით...

ჰოდა, მთავრდება საზაფხულო სეზონი... მთავრდება უმადური და დაუკმაყოფილებელი დამსვენებლის წუწუნიც... ქობულეთში მალე აშლიან და შეინახავენ ბუნგალოებს, დაკეტავენ რესტორნებს, ნორიკა ძიაც დაისვენებს, თავიდანვე უთხრეს, მხოლოდ ოქტობრამდე გექნება სამუშაო (აბა, დამსვენებლები იცლებიან და ქობულეთელი თავის სანაპიროს არ აბინძირებს)...

დასვენებული დამსვენებლები ახალი ძალითა და ენერგით შეუდგებიან განკითხვას, ლანძღვას, დაცინვას... ქობულეთი კი, საზღვაო სეზონის დამთავრების შემდეგ დაისვენებს, ღიმილით გაიხსენებს, თუ რამე აწყენინე და მომავალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს...

ქობულეთში ბევრი განსხვავებული სიტყვაა და ეშმაკისეულს - ჯაზს ეძახიან... ჯაზით აშინებენ დაუჯერებელ ბავშვებსაც და აცუნდრუკებულ მოზარდებს... ჰოდა, ვისაც ჩემი ქობულეთი და ჩემი ქობულეთლები არ მოგწონთ, გაფრთხილდით, იმიტომ, რომ, მოიდა, ჯაზი!!!

თამუნა კუშელავა
555 46 08 04

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები,
მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24
საათის განმავლობაში



ჯოსვორდი



შვეულად: 1. სახელმწიფო ევროპაში, თანამედროვე ხუთჭიდის სამშობლო. 2. ჭადრაკში დიდოსტატი. 3. პოეზიაში ლექსის სახეობა ე.წ. „თავისუფალი ლექსი“. 4. კომპოზიტორი ... ბალანჩივაძე. 6. მსოფლიოს უდიდესი ალმასი. 7. ეთიოპიის ისტორიული სახელი. 9. რკინიგზის ხაზი, სადგურში რომელიც სხვა ხაზებს მხოლოდ ერთი ბოლოთი უერთდება. 13. ტბა ჩრდ. ირლანდიაში, რომელშიც თითქოსდა ურჩხული ლოხნესია შემჩნეული. 14. რელიგიური ფერწერის დარგი — ხატების ხატვა. 17. მწერალ დავით ჩხეიძის ფსევდონიმი დია... 18. უნივერსიტეტი კალიფორნიაში. 19. ვალუტის კურსის აწევა. 21. სახელმწიფო ბიუჯეტის შეკვეცა. 23. უკუსვლა, დაქვეითება. 24. კრივში თავისუფალი საწვრთნელი ბრძოლა. 26. კონცერტი, წარმოდგენის ნაწილი, რომელიც ცალკე სრულდება. 27. ხილის, კენკრის შაქრიანი წვენი, არაყში შერეული. 28. ქართველი მეფე-პოეტი, „თეიმურაზიანის“ ავტორი.

თარაზულად: 5. ყალთაბანდობა ფულის დასტის ნაცვლად დაჭრილი ქაღალდის შეჩეჩება (ჟარგონზე). 8. ადამიანი, რომელიც დაიბადა თეთრკანიანისა და მეტისის ქორწინების შედეგად. 9. ლონდონის საფეხბურთო გუნდი. 10. გერმანიის ქალაქი, სადაც თბილისის „დინამომ“ თასის მფლობელთა თასი მოიპოვა. 11. ფეხის ბორკილი, ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტის მქონე გრძელი, მსხვილი ძელი. 12. სხვადასხვა სარეველა ბალახეულობა. 15. ქანდაკება, რომელიც გამოსახავს ადამიანის სხეულის ზედა ნაწილს. 16. იაპონური ტექნიკა. 20. ცნობიერებაში შთაბჭდილების აღბეჭდა და მათი აღდგენის უნარი. 22. „სულიკოს“ მუსიკის ავტორი, აკაკი წერეთელის ბიძაშვილი... 24. ფრინველთა საკვები. 25. მეცნიერება მეტყველების სხვადასხვა ნაკლისა და მათი მკურნალობის შესახებ. 26. კოლუმბის ერთ-ერთი გემი. 29. ქართველ სიმბოლისტ მწერალთა ჯგუფი „ცისფერი ყანწების“ წევრები. 30. მიწის სახვნელი ძველებური იარაღი. 31. შესრულების ტექნიკით მარტივი, უბრალო მხატვრობა.

ლაბირინთი

ო	რ	ი	რ	შ	ლ	უ	მ	ა	მ	ხ	ა	გ	ა
გ	მ	კ	ო	ჩ	ა	შ	ვ	ი	ლ	ი	რ	უ	ლ
ლ	უ	ლ	ბ	ი	კ	ა	შ	ა	ლ	ო	ი	ლ	ე
ი	ბ	უ	ტ	შ	უ	კ	ა	ე	ნ	ტ	ი	ყ	თ
ი	ა	მ	ი	კ	უ	კ	უ	ლ	ი	ი	ნ	ვ	ი
ტ	ს	ი	ტ	ი	რ	ო	ნ	ი	ე	რ	ა	ლ	ი
კ	ვ	ო	უ	ა	ნ	კ	ა	ნ	ტ	ნ	ი	ნ	ი
ა	ა	კ	ლ	კ	ი	ლ	ა	ნ	რ	ი	ნ	ო	ტ
ბ	ლ	ი	ი	ტ	რ	ი	ბ	უ	ა	ბ	ა	ბ	ა
ა	რ	ე	ი	ნ	ი	ს	ც	ო	ვ	ა	ს	ტ	ი
ო	ს	ა	კ	ა	რ	ო	ზ	ა	რ	ბ	ო	ო	ბ

1. რანგი, ხარისხი. 2. ვიწრო ქუჩა, ორლობე. 3. ვეშაპის სახეობა. 4. გერმანელი ტოპ მოდელი. 5. უკრაინული კერძი. 6. იოსებ გრიშაშვილის ნამდვილი გვარი. 7. სამკურნალო მცენარე. 8. სტალინის მშობლიური ქალაქი. 9. მამალი მსხვილფეხა ცხოველი. 10. ტბა ჩინეთში. 11. სამხედრო სასამართლო. 12. ... მაკგუაერი. 13. ქალაქი იაპონიაში. 14. რუსი საოპერო მომღერალი. 15. იტალიელი კომპოზიტორი. 16. ქმრის და. 17. ... ფურტადო. 18. ბუბუს მეგობარი. 19. ფრანგული ცეკვა. 20. პატარა კაფე ესტრადითურთ. 21. პერსონაჟი ფილმიდან „მიმინო“. 22. ნალბანდის გამოჭედილი საგანი. 23. არგენტინელი ჩოგბურთელი. 24. გაცვლით ვაჭრობა. 25. ქართველთა სულიერი განმანათლებელი.

მიფრვორდი





მკვლელი-მანქანები



სიკვდილის კაბრიოლეტი

1914 წელს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში ერცჰერცოგი ფერდინანდი მოკლეს, რაც პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და სისხლიანი მოვლენების ჯაჭვის მიზეზი გახდა.

უნდა ითქვას, რომ ავტომობილმა, რომელშიც ფერდინანდი მოკლეს, თითქოს ამ მკვლელობის დროს შეინივთა რაღაც მისტიკური და ის მრავალრიცხოვანი ტრაგედიების მიზეზი გახდა.

ერცჰერცოგის მკვლელობის შემდეგ კაბრიოლეტი მალევე არმიის კაპიტნის ხელში აღმოჩნდა. კაპიტანი ძალიან მალე გარდაიცვალა — საზარელი მანქანა ხეს დაეჯახა, როცა კაპიტანი უკაცრიელ და მშვიდობიან სოფლის გზაზე მგზავრობდა.

ავტომობილი შეაკეთეს და ის სარაევოს გუბერნატორს ჩაუვარდა ხელში. მან მხოლოდ 2 თვე იმგზავრა ამ მანქანით და სამ ავარიაში

მოხვდა. ამასთან, ბოლო ავარიის დროს ხელი დაკარგა. შეშინებულმა გუბერნატორმა გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა ავადსახსენებელი კაბრიოლეტი და ის ვინმე დოქტორ სერკიუს მიჰყიდა.

ერთი წლის შემდეგ სიკვდილის კაბრიოლეტი არხში გადავარდნილი აღმოაჩინეს. მანქანაში გარდაცვილი დოქტორი იმყოფებოდა. დოქტორის ქვრივმა დაწყევლილი მანქანისგან თავის დაღწევა გადაწყვიტა და ის ადგილობრივ იუველირს აჩუქა. რამდენიმე თვის შემდეგ იუველირი გაკოტრდა და სასოწარკვეთილებისგან თავი მოიკლა.

კაბრიოლეტი მდიდარი შვეიცარიელმა შეიძინა, რომელიც მანქანის სისხლიანმა ისტორიამ კი არ შეაშინა, არამედ ინტერესი უფრო გაუცხოველა — მას სურდა, ამ საშინელი უცნაურობის მფლობელი გამხდარიყო. რამდენიმე კვირის შემდეგ შვეიცარიელი გზისპირა კლდეს შეეჯახა და ადგილზევე გარდაიცვალა...

მომდევნო მფლობელმა არაფერი იცოდა მანქანის სისხლიანი კვალის შესახებ, ეს რომ სცოდნოდა, იგი მის შეძენაზე უარს იტყოდა. ავტომობილის ახალი პატრონი რესპექტაბელური და ღირსეული ოჯახის თავი გახლდათ, რომელიც ფრიად ფრთხილი იყო საჭესთან. სიკვდილის კაბრიოლეტი მას თავისებურად გაუსწორდა — ის მოულოდნელად ჩაქრა ცარიელ გზაზე. როცა მფლობელი მანქანიდან გადმოვიდა და ძრავს დაუწყო შემოწმება, მანქანა დაიძრა და მამაკაცი გაჭყლიტა.

კაბრიოლეტი გარაჟის მეპატრონე მექანიკოსს მისცეს, რომელიც სიყვარულით ექცეოდა ამ მართლაც უძვირფასეს მანქანას — ხელახლა შეღება ის, გამოუცვალა სალონის გადასაკრავები, მაგრამ ავტომობილმა სიყვარულზე უმადურობით უპასუხა. განახლებული ავტომანქანით მისი მფლობელი საკუთარ პირველად ქორწილში წავიდა. მას თან კიდევ ოთხი მეგობარი ახლდა. მოსახვევში მანქანა ხეს შეეჯახა ისე

ძლიერად, რომ ცოცხალი აღარავინ გადარჩა...

აღდგენილი მანქანა მუზეუმში გაგზავნეს. ასე დასრულდა მისი სისხლიანი ისტორია. საინტერესოა, რომ 1944 წელს იმ შენობას, სადაც კაბრიოლეტი იმყოფებოდა, ნაღმი დაეცა. მუზეუმი თითქმის მთლიანად დაინგრა, მხოლოდ ერთი ექსპონატი გადარჩა — ერცჰერცოგ ფერდინანდის კაბრიოლეტი...

აისედორას სიკვდილი

სხვა მკვლელი-მანქანის მსხვერპლი ცნობილი ბალერინა, სერგეი ესენინის მუზა აისედორა დუნკანი გახდა, რომელსაც პოეტმა არაერთი პოეტური სტრიქონი მიუძღვნა. უნდა ითქვას, რომ იმ დროს მანქანები ჯერ კიდევ ბევრი არ იყო, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მკვლელობისკენ მიდრეკილებით გამოირჩეოდა, დუნკანთან დაკავშირებულ შემთხვევას სხვას ვერაფერს დაარქმევ.

1924 წლის 23 აპრილს აისედორა დუნკანი კაბრიოლეტის უკანა სავარძელზე იჯდა, ყელზე გრძელი აბრეშუმის შარფი ეკეთა, რომელიც ქარზე ლამაზად ფრიალებდა და თაყვანისმცემლების აღფრთოვანებულ მზერას იწვევდა.

მოულოდნელად ავტომანქანა ჩაქრა და გაჩერდა. აისედორას შარფი ძირს დაეშვა. ავტომობილი ისევე მოულოდნელად დაიქოქა და სწრაფად დაიძრა ადგილიდან. შარფი ბორბლის კარკასს შემოეხვია და აისედორა ადგილზევე დაახრჩო.

პატარა ნაძირალა

ცნობილ ამერიკელ მსახიობს ჯეიმს დინს მანქანით სწრაფი ქროლვა უყვარდა. მან „პორშე-550-სპაიდერი“ შეიძინა, რომელიც რბოლისთვის იყო განკუთვნილი. სავარაუდოდ, ამ მანქანასთან მას რთული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა, რადგან დინმა მას „პატარა ნაძირალა“ შეარქვა.

1955 წლის 30 სექტემბერს იგი სასეირნოდ გაემართა და სრულიად უკაცრიელ გზაზე შეეჯახა საპირისპიროდ მომავალ „კადილაკს“. იგი ადგილზევე გარდაიცვალა, რადგან კისერი მოიტეხა.

გამოძიებამ აჩვენა, რომ „პორშე“, როგორც კი მანქანები ერთმანეთს გაუსწორდნენ, უცებ მარცხნივ შებრუნდა და საპირისპირო ხაზზე აღმოჩნდა.

ამბობდნენ, რომ მანქანა თითქოს გაცოფდა — დინს არავითარი მიზეზი არ ჰქონდა თვითმკვლელობისთვის, იგი ხომ ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი და ნიჭიერი იყო.

მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ მისტიკოსები, რომელთაც რაციონალისტები დასცინოდნენ, მართლები იყვნენ.

როცა მანქანა, უფრო სწორად ის, რაც მანქანისგან დარჩა, გარაჟში მიიტანეს, ის ავტომექანიკოსს დაეცა ფეხზე. მამაკაცს ფეხი მოტყდა. გადაწყვიტეს, „პატარა ნაძირალა“ ნაწილებად გაეყიდათ. მისი ნაწილები ორმა ავტომბრბოლელმა შეიძინა, რომლებიც მომდევნო ავტორბოლაში დაიღუპნენ.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. „პორშეს“ ძარა ჯეიმს დინისადმი მიძღვნილ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, „პატარა ნაძირალა“ სტენდიდან ჩამოვარდა და ერთი დამთვალიერებელი მოკლა...

ავტოტავრები

ჯერ კიდევ XX ს-ის 80-იან წლებში ამერიკელი ექიმი ჯონათან ბარჩი ავტომობილების უცნაური ქმედებით დაინტერესდა, მკვლელი-მანქანების შესახებ ბევრი ინფორმაცია შეაგროვა და სიკვდილის მანქანების შესახებ წიგნის წერა დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება ვერ მოასწრო. შეიძლება ფანტასტიკად მოგეჩვენოთ, მაგრამ იგი საკუთარი ავტომობილის მსხვერპლი გახდა. ბარჩი გარაჟში იმყოფებოდა, იგი მანქანის ქვეშ შეძვრა, რათა რამდენიმე ქანჩი მოეჭირა. ამ დროს ავტომობილი დაიძრა და დოქტორს ზედ გადაუარა.

ბარჩის მიერ შეგროვილი მასალები მინესოტას უნივერსიტეტის პროფესორის, დენ კრეინვორტის ხელში მოხვდა. მეცნიერული კუთხით დიდი სამუშაოს ჩატარების შემდეგ კრეინვორტმა პარიზში კონფერენცია ჩაატარა, სადაც ასეთი განცხადება გააკეთა: „მანქანის შეძენასთან ერთად თქვენ შეიძინეთ საათი, რომელიც თქვენი სიცოცხლის დარჩენილ დროს აღნუსხავს“.

მისი აზრით, ავტომანქანას შეუძლია, სული ჩაიდგას და საკუთარ მფლობელს სიკვდილი მოუტანოს!

მართალია, პროფესორმა დაადგინა, რომ საკუთარი ავტომობილით ისინი იღუპებიან, ვინც მანქანას ცოცხალივით ექცევა. კრეინვორტმა სენსაციური დასკვნა გააკეთა — ფსიქიკური ენერგია გადაეცემა მანქანას და დამანგრეველ ძალას იძენს. პროფესორი ამტკიცებდა, რომ მძღოლისა და მფლობელის ყველა ემოცია ავტომობილს გადაეცემა. კრეინვორტმა ამ ფენომენს „ავტოტავრი“ უწოდა — ადამიანისა და მანქანის სასიყვარულო კავშირის შედეგი.

რაც ძალზე საინტერესოა, აღმოჩნდა, რომ იმ უცნაურ ავარიებში, როდესაც თითქოს მანქანა თავად იწყებდა მოქმედებას, მონაწილეობდნენ ისეთი მანქანები, როგორიცაა „იაგუარი“, „ფერარი“, „როლს-როისები“, რომელთა პატრონები ჩვეულებრივ მოკვდავებად არ აღიქვამდნენ საკუთარ თავს.

პროფესორ კრეინვორტს კოლეგებმა დასცინეს, მისი დასკვნები ძალიან სასაცილოდ ჟღერდა. მაგრამ იგი არ ნებდებოდა და წერდა წიგნს სათაურით „მანქანების ამბოხი“. წიგნის დასრულება პროფესორმა ვერ შეძლო — იგი 1998 წლის 22 ნოემბერს გარდაიცვალა საკუთარ სამზარეულოში. იგი სამზარეულოს კომბაინმა მოკლა. პროფესორის გრძელი თმა კომბაინის მბრუნავ ნაწილში მოხვდა იგი გაგუდა...

ამბობენ, რომ ახლა ვერარავინ ბედავს კრეინვორტის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებას, რადგან მანქანების ეშინიათ, ისინი ხომ შურს იძიებენ მათზე, ვინც მათი საიდუმლოს ამოხსნას ცდილობს...

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო საქმე
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა